ცნობის ფურცელი

№ 2622 | კვირა, 26 სექტემბერი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2622

ხელის მოწერის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. -მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში დიდ ქუჩაზე, № 27.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

ორშაბათს, 27 ენკენისთვეს, დილის 11 საათზე, მიძინების ღვთის-მშობლის რომის-კათოლიკეთა ეკლესიაში, კათოლიკეთა ქუჩაზე, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად და შემდეგ დაკრძალვენ კათოლიკეთა ძველ სასაფლაოზე. პანაშვიდი იმავე ეკლესიაში **კვირას, 26** ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე. (2—328—2)

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს დილის 10 საათზედ **სოფ. მეჯვრისხევში** წმ. მარინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა განსვენებულის

კნ. დარია დიმიტრის ასულის ერისთავის

სულის მოსახსენებლათ და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის საფლავზედ სოკოთარ ეკლესიაში. (2—318—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
კვირას, 26 სექტემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება **„დუბროვსკი“** ოპერა 5 მოქ., მუს. ნაპრავნიკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვიკშემსკაია, ნიკიტსკაია, ბუნაკოვა; ბ-ნნი ბაქენოვი, დონსკოი, კომაროვი, დემიანენკო და ზელინსკი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
27 სექტ. წარმოდგენა არ იქნება; 28 სექტ.—„კარმენი“. მზადდება პირველად „ნერონი“, რუბინშტეინისა.
გამგე ი. ა. კელლერ.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—1½ ს.

. ი. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. **კამოევი.**—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი. **კიმონტი.**—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. **დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. კ. იოხელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

. ა. **ზიიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. მ. **მოჩინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემ.ჩვენება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

მ. ს. **მუსხელიშვილი.**—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მ. მ. **ხომოლდიშკი.**—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. **ხომოლდიშკი.**—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ი. ს. **დავიდოვი.**—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები მოხდება. კვარტირები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ეკლესიიდან ძველი სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B.

ტელეფონი № 274.

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის —11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—10)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს პირდაპირ, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—9)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჯისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ფოტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—32)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—18)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—8)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის **სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე.** მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—21)

ექიმი
მ. აგანჯანოვი
სპეციალისტი საშარდისა, ვენერიულისა და სიფილისის ავადმყოფობებისა,—დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება: დილით 12—3 საათ. საღ. 7—9 საათ. მიხაილოვის პროსპ. № 60. ავადმყოფთათვის ახალი შესავალია—ისარლოვის შესახვევიდან. ტელეფონი № 663. (4—324—2)

ქუთაისში,
კბილის ექიმი
პ. გ. მახარაშვილი,
გადავიდა მურადოვის სახლში, ბულვარისა და ქალების გიმნაზიის პირ-და-პირ. (6—3799—2)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
დ. ხონში
გაიხსნა ახალი კერძო ვაჟების სასწავლებელი **მოსამზადებელ კურსებით** გიმნაზიისათვის და სხვა საშუალო სასწავლებელთათვის. სწავლის ფასი თვეში ათი მანეთია.

P S თხოვნები მიიღება საქალებო პროგიმნაზიის უფროსის სახელზედ. (2—2)

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა. № 71 ისარლოვისეული სახლი
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—55).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

ლონდონი, 24 სექტემბერი („რეიტ საგ“). კუროკის ჯარიდან 22 სექტემბერს დეპეშით იუწყებიან: რუსები აძლიერებენ თავიანთ მარცხენა ფრთეს და დიდ მოქმედებას იჩენენ იმ მხარეს, საიდანაც იაპონელების თავდასხმას მოელიან. იაპონელთა ქვეითა რაზმი, რომელიც პენსიხუს ჩრდილოეთით იყო დასაზვერად, შეჰხვდა რუსის ჯარს, რომელიც მაგრა დაჰხვდა. რუსის ცხენოსანი ჯარი დიდ მხნეობას იჩენს იაპონიის ჯარის წინ. იანტაის ჩრდილოეთით, ამ ადგილიდან ხუთი მილის მანძილზე, გაჩნდა რუსის ცხენოსან ჯარის ათი ესკადრონი, რომელთაც ხუთი ზარბაზანი აქვთ. რუსები ზარბაზნებს ესროდნენ იაპონელთა მზვერავებს და სადარაჯოებს. მზის ჩასვლისას რუსის კავალერია ჩრდილოეთისაკენ წავიდა და დასტოვა მხოლოდ ორი ესკადრონი, რომელიც თვალყურს ადევნებს იაპონელთა ჯარის მოქმედებას.

სეული, 22 სექტემბერი („რეიტ. საგ.“). რადგან რუსები თან-და-თან მეტ მხნეობას იჩენენ კორეიაში, იაპონელებმა ამას წინად გააძლიერეს თავიანთი მეციხოვნენი ჩრდილოეთ კორეიაში. ამბობენ, ახლო მომავალში შეტაკება მოხდება კორეიაში რუსებსა და იაპონელებს შორისაო. დღეს რუსებმა თავიანთ ბაზად სონშინი გაიხადეს. ამ ადგილას რუსებს ჰყავთ როგორც ცხენოსანი, ისე ქვეითა ჯარი, და აქვთ ზარბაზნები; წინად-კი კორეიაში რუსებს მარტო ყაზახთა რაზმები ჰყავდათ. აქ ფიქრობენ, რომ რუსის ჯარის სალაშქროდ წასვლა სამხრეთისკენ სახეირო არ იქნება, რადგან რუსები ზღვის ნაპირ-ნაპირ მიდიან, აქ-კი, ნავთ-სადგურის გაყინვამდე, იაპონელებს ყოველთვის შეუძლიანთ თავს დაესხნენ რუსებს. ამბობენ, ზამთარში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში დიდი ბრძოლები მოხდებაო.

მელბურნი, 24 სექტემბერი („რეიტ. საგ.“). ავსტრალიის ესკადრის უფროსმა უბრძანა ინგლისის კრეისერს „პილად“-ას და კორვეტს „კადმუს“-ს, წავიდნენ ტორესის სრუტეში, სადაც, როგორც ხმა დადის, რუსის ორი სამხედრო გემი ყოფილა. „პილად“-ი ამ ჟამად ქვინსლენდის აღმოსავლეთ ნაპირთანაა, ხოლო „კადმუსი“ სიდნეიშია.

სიდნეი, 24 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო“). ადმირალმა ფანშაუმ დაუყოვნებლივ გაგზავნა სამხედრო გემები „პილად“-ი და „კადმუს“-ი. ამ გემებმა ტერძეის კუნძულის მახლობლად მყოფ რუსის სამხედრო გემებს უნდა გამოუცხადონ, რომ მათ დაარღვიეს საერთაშორისო უფლება და აცნობონ, რომ უფლება არა აქვთ, ინგლისის ნავთსადგურიდან ქვა-ნახშირი წაიღონ. შიშობენ, რომ რუსის გემები ელიან გემ „ამპირ“-ს, რომელიც სიდნეიდან იაპონიაში წავიდა ძვირფასის ტვირთით. ამ გემს ტერძეის მახლობლად დღეს მიელიან.

კორსაკოვსკი, 23 სექტემბერი. მახლობელ კუნძულებიდან მალ-მალ მოდიან იაპონელები სამხრეთ სახალინის დასავლეთ ნაპირის გასაძარცვავად. ახლახან მოჰკლეს იაპონელებმა ტყის დარაჯი ბოზჩუკი და სოფლის სტაროსტა გრაფოვი, რომელნიც სცდილობდნენ იაპონელთა დაპატიმრებას.

ცინდაო, 24 სექტემბერი. დაბრუნდა გერმანელთა გემი „პროგრესი“, რომელიც ამ 26 დღის წინად ვლადივოსტოკს წავიდა. დაბრუნებულნი ამბობენ, ვლადივოსტოკის მახლობლად ადვილად ავცდით იაპონელთა გემებსაო. ვლადივოსტოკსავე მისულა ამას წინად რამდენიმე დიდი გემი, ქვა-ნახშირითა და საომარ მასალით დატვირთული. ვლადივოსტოკში სიწყნარეა. ქალაქი ძალიან არის გამაგრებული. ნავთ-სადგურში ნაღმებს აწყობენ და ამ რიგად გზას ჰკრავენ. დაზიანებულ გემებს აკერებენ.—ცინდაოში მყოფი რუსის აფიცრები ამბობენ, რომ პორტ-არტურში მიიტანეს საომარი მასალა და ზარბაზნები კრეისერის „დიანა“-სი, რომელმაც ამას წინად საიგონს შეაფარა თავიო. მუდმივი მიწერ-მოწერაა პორტ-არტურთან; ცნობები ჩინელთა ნავების შემწეობით იგზავნება. ამ კვირაა პორტ-არტურის ესკადრა უნდა გასულიყო ზღვაში, მაგრამ ეს განზრახვა გადასდეს, რადგან ზღვა ღელავდა.

ტოკიო, 24 სექტემბერი. ხმებია, იაპონელთა ხმელეთის ბატარეების ყუმბარებმა ძლიერ დააზიანა რუსის ოთხი გემი პორტ-არტურის ნავთ-სადგურშიო. როგორც ამბობენ, რუსის ერთი გემი სრულებით განადგურებულია. გვარდიის დივიზიის ყოფილი უფროსი ხაზეშავა კორეაში წავიდა, და იქ მყოფ იაპონელთა ჯარის უფროსობას იკისრებს. კორეელთა არმიას, ალბად, გააუქმებენ ან იაპონელ უფროსებს დაუმორჩილებენ. ამის შემდეგ იაპონელები სამხედრო მოქმედებას შეუდგებიან, რათა უკუაქციონ დასავლეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ კორეაში მომქმედი ყაზახთა რაზმები.

ლონდონი, 24 სექტემბერი. ოკუს არმიაში მყოფი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელებს დიდ-ძალი სურსათი და საომარი მასალა მოაქვთ ზამთარში ომის განგრძობისათვის; საქონლის გადასაზიდად იაპონელები მათ მიერ გადაკეთებულ რკინის გზით სარგებლობენ და აგრეთვე ნავებით მდინარე ლიაოხესა და ტაიძიხეზე. განუწყვეტელი მიმოსვლაა მატარებლებისა. განუწყვეტლივ მოდის მაშველი ჯარი. შეტაკებანი მხოლოდ პირველ და მეოთხე არმიის მოწინავე რაზმებსა აქვთ. ჯარი ჩინებულად იტანს მანჯურიის ჰავას. ავადმყოფების რიცხვი მცირეა. ცივი დარი დგება.

შანჰაი, 24 სექტემბერი („რეიტ. საგ.“). იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს ნიუ-ჩუანის ახლოს ინგლისელთა გემი „სიშან“-ი, რომელსაც გონკონგიდან პორტ-არტურში ფქვილი და პირუტყვები მიჰქონდა.

ხარკოვი, 24 სექტემბერი. მოვიდა გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი მე-14 დივიზიის თან გამოსამშვიდობებლად, რომელსაც იგი რუსეთ-ოსმალოს ომის დროს უფროსობდა დუნაის ახლოს. გენერალ-ადიუტანტმა დრაგომიროვმა შეკრიბა ოფიცრები და სალდათები და მიმართა სხვა და სხვა რჩევით; მხურვალედ უსურვა გამარჯვება, ცრემლ-მორეული ეამბორა პოლკის დროშას, გადაეხვია და აკოცა მედროშეს. გენერალი ძლიერ აღელდა; უსურვა მე-14 დივიზიის მეომართ, ისე მამაცად იბრძოლონ მანჯურიაში, როგორც მათი მამები დუნაის ახლოს იბრძოდნენ.

ნიუ-იორკი, 24 სექტემბრი. ჩიკაგოდან გაიგზავნა ნიუ-იორკის გზით წყალქვეშ-მავალი 5 ნავი, ეს ნავები ალბად იაპონელების დაკვეთილია.

(ღამის დეპეშები იხილე მე-5 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ირწმუნება, ნამესტნიკი ალექსეევი მალე პეტერბურგში მოვაო. („რ. ლ.“).

ბალტიის ზღვის ფლოტისა და პორტების უფროსმა ადმირალმა ბირილევმა 18 სექტემბერს შემდეგი ბძანება გამოსცა: 17 სექტემბერს, საღამოს, ჯავშნიანი გემი „ორიოლი“ ბუქსირით რეიდიდან ზღვაში გაჰყავდათ, წყალი დაკლებული იყო და გემის ძირი ფსკერს მოედო. ამ ამბავს თავის თავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს; „ორიოლი“ მეტად ნელა მიდიოდა და ზიანი არ მოუვიდოდა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ დიდ რეიდზე მდგომმა გემებმა დახმარება არ გაუწიეს „ორიოლს“; საზღვაო სამსახურის წესი და უბრალო ზრდილობა-კი მოითხოვს, რომ მეზღვაურმა დაუყოვნებლივ და ულაპარაკოდ დახმარება გაუწიოს ყოველ გაჭირვებულ გემს, არა თუ მარტო სამხედრო რუსეთისა იქნება თუ უცხოეთისა, სულ ერთია სავაჭრო გემსაც-კი. ამის გამო კრეისერ „გენერალ-ადმირალ“-ისა, კრეისერ „ოლეგ“-ისა, კრეისერ „ჟემჩუგ“-ისა და სატრანსპორტო გემ „კამჩატკ“-ის უფროსებს შენიშვნას ვუცხადებ. („რ.“).

„კრონშტადტის ვესტნიკ“-ი იუწყება: 17 სექტემბერს, საღამოს 9 ს. 55 წ., ჯავშნიანი

გემი „ორიოლი“ კრონშტადტში დაბრუნდა და დიდ რეიდზე დადგაო. „ორიოლი“ როჟდესტვენსკის ესკადრას მიემატება და შორეულ აღმოსავლეთს წავა. („ნ. დ.“).

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: „ნოვიკ“-ის უფროსად ნამყოფი კაპიტანი შულცი დროებით კრეისერ „გრომობოი“-ს უფროსად დაინიშნაო. („მ. ვ.“).

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ამერიკიდან: იაპონიის წარმომადგენელმა 7,500 ტონა (1 ტონა 64 ფუთია) ფოლადის ჯავშანი შეუკვეთა კარნეჯის ქარხანას. ქარხანა სამ თვეს ამ ჯავშნის მეტს სხვა საქმეს არ გააკეთებს. სარწმუნოდ გავიგეთ, რომ იაპონიაში ჯავშნიან გემების აშენებას შეუდგნენ და ეს ჯავშანიც იმათთვის უნდათ. აქამდე იაპონიაში მხოლოდ კრეისერებს აშენებდნენ. ბოლოს დროს აშენებული კრეისერები „ნიიტაკა“ და „ცუსიმა“ ყველა მხრივ მშვენიერი, ჩინებული კრეისერები გამოდგნენ. იაპონიის ვერფებში ამ ჟამად საუკეთესო მაშინები და მოწყობილობა აქვთ და კურეს არსენალს ყველა მასალის დამზადება შეუძლიან, რაც კი ჯავშნიან გემს დასჭირდება. ოსაკას არსენალში ყველა ყალიბის ზარბაზნებს ამზადებენ. („პ. ვ.“).

„ტან“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ნადიმის დროს გენ. შტაკელბერგმა გენ. კუროპატკინის სადღეგრძელო დალია და სურვილი გამოსთქვა, რუსის ჯარმა ლიაოიანისაკენ გაილაშქროსო. („ნ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან მეტად უცნაური ამბები მოდის. კორესპონდენტები ირწმუნებიან, ვითომ იაპონელები ჩრდილოეთისაკენ გალაშქრებას აღარ აპირებდნენ და რუსის ჯარის დაცემას ელოდნენ, ვითომ იანტაის სამხრეთით მარშალ ოიამას ცოტა ჯარი ლა ედგას და გენ. ნოძუს არმია სადღაც გამქრალიყოს. ამას წინად ირწმუნებოდნენ, იაპონელებს ნახევარ მილიონი კაცი თუ არა, 400 ათასი მაინც ჰყავთო, ეხლა სულ სხვას ამბობენ: იაპონელებს მანჯურიაში 150 კაცი ძლივსა ჰყავთ, ესე იგი გენ. კუროპატკინის ჯარის ნახევარიო. ადვილი მისახვედრია, რომ ეს დიდი შეცდომაა. მართალია, „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშა იუწყებოდა: მარშალ ოიამას სულ 180 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 53 ესკადრონი კავალერია ჰყავს და 638 ზარბაზანი აქვსო, მაგრამ, ცხადია, ეს დეპეშა შეცდომითაა გადმოცემული. დეპეშაში სრულად არაა ჩამოთვლილი იაპონელების ჯარი. გენ. სახაროვის მოხსენებიდან ვიცით, რომ სექტემბრის დამდეგს გენ. კუროკის არმია ბენსიხუბანიუპუზას გზაზე და იანტაის ქვა-ნახშირის მაღაროების აღმოსავლეთით იდგა. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი-კი მარტო ბანიუპუზასთან დაბანაკებულ დივიზიას იხსენიებს; კორესპონდენტს დავიწყებია, რომ გენ. კუროკის ერთი ბრიგადა დალინის უღელტეხილზედაც ჰყავს გაგზავნილი და გენ. ოკუს მდ. ხუნხეს მარჯვენა მხარეს. აშკარაა, რომ კორესპონდენტი არც ლიაოიანსა, ხაიჩენსა და, ინკოუსა და სხვა ადგილებში ჩაყენებულ ჯარს იხსენიებს. რაღა თქმა უნდა, იაპონელებს 150 ათას კაცზე გაცილებით მეტი ჯარი ჰყავთ მანჯურიაში. მართალია, იაპონელები ამ ჟამად მძიმედ იქცევიან და ძლიერ ნელ-ნელა მიდიან მუკდენისაკენ, მაგრამ ეს სულ სხვა მიზეზით აიხსნება და არა ჯარის სიცოტავით. ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელები ჯერ სამხედრო და საკვებ სურსათს ეზიდებიან. მაშველ ჯარს ელიან და ახლად დაჭერილ ადგილებს ამაგრებენ, მაგალითად ლიაოიანს, ბანიუპუზას, იანტაის და სხვ. მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილებს. ამას გარდა, გენ. კუროკი, ალბად, ტრამვაის ჰმართავს ბენსიხუდან ბანიუპუზამდე, თორემ უამისოდ ძნელი იქნება ჩრდილოეთისაკენ გალაშქრება. მართლაც და კუროკი დიდ მანძილზე არას დროს არ დაჰშორებია ზღვასა, ან თავის ტრამვაის. სანამ ანდუნიდან ფინხუანჩენამდე ტრამვაი არ გაჰმართა, კუროკი წინ არ დაიძრა. მერე წინ გაილაშქრა, ფინშუილინის ქედი დაიჭირა და მაშინვე ტრამვაი გაიყვანა ლანშანგუანამდე. მდ. ტაიძიხეშიაც მხოლოდ მაშინ გავიდა, როცა ბენსიხუმდე (ტაიძიხეზე) ტრამვაი გაიყვანა ლანშანგუანიდან. ეხლაც, ალბად, ჯერ ტრამვაის გაჰმართავს ბენსიხუდან ბანიუპუზამდე და მერე გაილაშქრებს ფუშუნისა და ინპანისაკენ (მუკდენის მხარესაა). გენ. კუროკი ბანიუპუზასაც ამაგრებს. ასე თუ ისე იაპონელები ამ ჟამად ბეჯითად ემზადებიან მუკდენისაკენ გასალაშქრებლად. როდის მოემზადებიან და როდის გაემართებიან ჩრდილოეთისაკენ, —ეს მეტად ძნელი გამოსაცნობია“.

ინგლისურ გ. ზ. „დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი გენ. კუროკის მთავარ სადგომიდან იუწყება: რუსებს შედარებით ბევრი აფიცერი და გენერალი მოუკლეს და დაუჭრეს; იაპონელებისთვის-კი ჯერ არც ერთი გენერალი არ დაუჭრიათ. აი ეს რით აიხსნება. იაპონელი გენერლები ბრძოლის დროს მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევენ ჯარს, მხოლოდ განკარგულებას ახდენენ და ბძანებას აძლევენ თავიანთ ხელქვეითებს; რუსის გენერლები-კი ძველებურად, გენ. სკობელევის წესზე იქცევიან და მუდამ თითონ მეთაურობენ ჯარს. ბრძოლის დროს ყოველთვის ვხედავდით, რომ რუსის აფიცრები თეთრის კიტელებით თავიანთ ჯარს წინ მოუძღოდნენ, რუსები-კი ვერას დროს ვერ გაარჩევდნენ იაპონელ აფიცრებს, რადგან იაპონელი აფიცრები ფორმით თითქმის არ გაირჩევიან უბრალო ჯარის-კაცებისაგან. კუროკი თავის გენერლებით ხომ სულ უკანა დგას და ბძანებას ტელეგრაფითა და ტელეფონით აძლევს ჯარს. ტელეგრაფითა და ტელეფონით ჯერ არავის არ უსარგებლნია ისე, როგორც ეხლა იაპონელები სარგებლობენ. ყველა ბრიგადის (ორის პოლკის) უფროსი ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულის ბოლოში დგას და ბრძოლის ამბავს ხელად ატყობინებს დივიზიის უფროსს, დივიზიის უფროსი თავის მხრივ არმიის უფროსს ატყობინებს. იაპონელები ყველგან საკვირველის სისწრაფით ჰმართვენ ტელეგრაფსა და ტელეფონს. ყველგან, საცა იაპონელების რაზმი მივა, ხელად ტელეგრაფი და ტელეფონი იწყებს მოქმედებას, რუსის ჯარი-კი მაგრე რიგად როდი ხმარობს ტელეფონსა და ტელეგრაფს. სადაც რუსის პოზიციები დავიჭირეთ, ტელეგრაფის ბოძებისა და მავთულისა კვალიც ვერსად შევნიშნეთ. („ნ“).

> ### რედაქციისაგან.
>
> ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასის უკანასკნელი ხვედრი არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთ-ჟურნალის გზავნა მოესპობათ 1 ოქტომბრიდან.
>
> „ცნობის ფურცელი“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მან.

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი გარინი სწერს: ლიაოიანში ერთმა რუსის სალდათმა მიამბო: ჩვენი როტის უფროსი კარგი კაცი იყო, სალდათს კაცადა სთვლიდა და უბრალო სიტყვითაც არ აწყენინებდა. რასაკვირველია, ჩვენც გვიყვარდა და ბრძოლის დროს მუდამ ვუფრთხილდებოდით როტის უფროსს. ერთხელ სანგრებში ვწევარ გაჩუმებულნი; ვლით, რომ იაპონელებ იერიშით წამოვიდნენ და ერთბაშად თოფე ბი დავახალოთ. სწორედ ამ დროს ჩვენ პო ზიციაზე ერთი შტაბის აფიცერი მოვიდ თეთრის კიტელით და დადგა: ნახეთ, რ ყოჩაღი ვარო. იაპონელებმაც თვალი მოჰ კრეს, ზარბაზანი და თოფი დაგვიშინეს, ჩვე ნი უფროსიც მოჰკლეს და ჩვენის ნახევარიც გასწყვიტეს. აი, ასე ძვირად ჯდა შტაბის აფიცრის ყოჩაღობა. („ნ.

იგივე კორესპონდენტი სწერს: რუსის ს ლდათები ეხლა ბრძოლის დროს უფრ ფრთხილად იქცევიან, იაპონელებისაგან ძ წავლესო. („ნ. დ.“).

პორტ-არტური. როგორც ვიცით „რუსკ ია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველ ამტკიცებს, გენ. ნოგის 4 სექტემბრამდ შტურმი არ მიუტანია პორტ-არტურის ცი ხეზე, იაპონელები მხოლოდ ემზადებოდნენ შტურმისათვისაო. ამას გარდა მიმომხილველ სწერს: შტურმისათვის მომზადებას კარგ ხანი დასჭირდება. გენ. ნოგი ჯერ ყველ საჭირო სიმაგრეს აგებს, საინჟენრო საქმეებ შეასრულებს, ყველგან დიდ საალყე ზარბა ზნებს დასდგამს, პორტ-არტურის არტილე რიას ყუმბარას დაუშენს, დააზიანებს, გააჩუ მებს, და მხოლოდ ამის შემდეგ მიიტანს ცი ხეზე ნამდვილ შტურმს. როდის დადგებ შტურმის დრო, ძნელი სათქმელია... სხვა და-სხვა ცნობებიდან სჩანს, რომ 4 სექტემ ბრამდე იაპონელებს მხოლოდ პატარა ფორ ტები აუღიათ, სახელდობრ: ოქროს გორას და ვეშაპის ქედის შუა მდებარე ფორტებ № № მე-2 და მე-3 და პალიჩანს ახლო, ცი ხის ჩრდილოეთ მხარეს, ფორტი № მე-5 უმთავრესი ფორტი-კი არც ერთი არ ა ღიათ. მაგრამ რა მოხდა პორტ-არტურთან 4 სექტემბრის შემდეგ, სრულობით არ ვი ცით. („რ. ვ.“).

თუ უცხოეთის გაზეთებს დავუჯერებთ 4 სექტემბერს აქეთ პორტ-არტურთან დიდ ამბები მოხდა და იაპონელებმა რამდენიმ უმთავრესი, პირველ-ხარისხოვანი, ფორტ აიღეს.

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ იაპონელებმა პორტ-არტურის უმთავ სიმაგრეები სულ აიღეს, ოქროს გორის კიკუანისა და ლიაოტეშანის გარდაო. გუან გჩინშანის ფორტს (ოქროს გორაზე) კუს შის პოზიციიდან $1^{1}/_{2}$ მილის მანძილზე ე ერიან ზარბაზანს. იაპონელების ყუმბარ

ფელეტონი

პატარა ამბები

ხანდახან პატარა ამბები მივიჩნიოთ დიდ ამბებად!—დრამატიული საზოგადოების კრების გამო.—ბათუმის თვითმმართველობა.

ჩვენს უფერულ და უშინაარსო ცხოვრებაში პატარა ამბებიც დიდ ამბებად უნდა მივიჩნიოთ ხანდახან. საზოგადო ცხოვრება ისე სუსტად არის განვითარებული ჩვენში, ისე ვართ მოკლებული თვით მოქმედების ასპარეზს, ისე კარჩაკეტილად და მიყრუებულად ვცხოვრობთ, რომ დიდ ამბად მიგვაჩნია, თუ სადმე ერიდობა დავინახეთ და რომელიმე ბანკის ან სხვა საურთიერთო-სავაჭრო დაწესებულების კრებას დიდ რამეთ ვსახავთ. რას იქ ადამიანო!.. ჩვენში ხომ ყველაფერი ასეა. ყველაფერი დახშულია, დამხრჩვალია, საგნის ნასახია, ლანდია და არა თვითონ საგანი! ნამდვილს საგანს ჩვენ ვინ გვაჩვენებს! მარტო ამის ფიქრიც რომ გავიტაროთ გონებაში, იმისთვისაც შავს დღეს დაგვაყენებენ!..

გაგონილა განა სხვაგან ასეთი ამბავი? ქუჩაში მიდიხართ თქვენთვის უწყინარად და თუ გამვლელ-გამომვლელებმა არ გცემეს და არ მიგტყეპეს, დიდი მადლობა უნდა მოახსენოთ მათ ასეთ გულკეთილობისათვის. თუ ქურდმა ჯიბიდან ფული არ ამოგაცალათ, თავი უნდა დაუკრათ. თუ მოხელემ თავის მოვალეობის შესრულებისათვის ქრთამი არ გთხოვათ, ქება უნდა შეასხათ. ბედნიერად უნდა ჩასთვალოთ თქვენი თავი, თუ მეეზოვემ მაღლა ჩახველებისთვის და ხმა მაღლა ლაპარაკისათვის პოლიციაში არ წაგათრიათ. უბედნიერესი კაცი ხართ, თუ მთელი ღამე მოსვენებით შეგიძლიათ იძინოთ თქვენს ოთახში და ეგ თქვენი მოსვენებული ძილი დანაშაულობად თუ არ ჩაგითვალა ვინმემ. ეგ კიდევ არაფერი: მოხდება ისეც, რომ ერთხელ გცემენ და უნდა გაიცინოთ, რომ მეორედ არ გცემეს. სულელს დაგიძახებენ და უნდა გაამოთ, რომ პირუტყვი არ გიწოდეს. დედას შეგიგინებენ და უნდა მოუწონოთ, რომ მამაც არ გაგილანძღეს. სიცილს თუ აგიკრძალავენ, კმაყოფილი უნდა იყოთ, რომ ტირილი არ გიბრძანეს. თუ ხმის ამოღება არ შეგეძლებათ, ღმერთს დიდი მადლობა უნდა შესწიროთ, რომ სუნთქვა მაინც შეგიძლიათ. თუ გემრიელად დამზადებული სადილი შეგიჭამეს და მშიერი დაგტოვეს, უნდა გულწრფელად დაუმადლოთ კარგის მადისათვის და გულკეთილობისათვის, რომ მათი ნასუფრალი გახშმად მაინც დაგრჩებათ!..

ღვთის წინაშე, ასეთი მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, ფილოსოფიურია, ვინაიდან ფილოსოფია წვრილმანების უარყოფაა და თქვენი ყოფაც ხომ ისეთი წვრილმანების უარყოფაა, როგორიცაა კარგი სადილი და სიცოცხლე, მოსვენებული ძილი და სინიდისი, ქუჩაში გასეირნება და პიროვნების თავისუფლება და სხვა და სხვა.

ფილოსოფია განმარტივება არისო, ამბობენ. თქვენი ცხოვრებაც ხომ განმარტივებულია, იმდენად განმარტივებული, რომ სრულ არარაობასთან მეტად ახლოს არის...

ყველაფერი ეს სხვათა შორის იყო ნათქვამი და მე-კი სულ სხვა საგანზე მინდოდა ლაპარაკი, სახელდობრ წარსული კვირის დრამატიულ საზოგადოების კრების შესახებ.

* *

კრება ძლიერ სასტიკი იყო და მასთან სუსტი, ულონო, რბილი, უკბილო· ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება: კრება სასტიკი იყო კენჭებით და სუსტი, მეტად სუსტი თავის მსჯელობით და კრიტიკით.

კრება რომ გამგეობას ირჩევდა, ძველი გამგეობის წევრთაგან ერთიც-კი არ დაუსახელებია კანდიდატად. კრებამ მთელი წინანდელი გამგეობა უარჰყო. სჩანს, კრებამ დაჰგმო, არ მოიწონა მისი მოღვაწეობა-პროგრამა. რა დაუწუნა კრებამ გამგეობას, რისთვის არ ინდომა მეორისთვის მისი არჩევა? მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ მოვისმენდით კრებისაგან დაწვრილებით და დასაბუთებულ განხილვას გამგეობის სამის წლის მოღვაწეობისას, დავინახავდით, რა ბრალი ედება გამგეობას, რაშია დამნაშავე და რაში უნდა გაიმართლოს თავი იმ კრების წინაშე, რომელმაც ენდო მას და არჩია ამ სამის წლის წინად. კრება უნდა ყოფილიყო ნამდვილი სამსჯავრო, რომლის წინაშე უნდა წამდგარიყვნენ გამგეობის წევრები მთელი თავის ნაშრომით და ნამოღვაწარით და ეთქვათ: „აი, ბატონებო! ასე ვმუშაობდით ჩვენ, ეს იყო ჩვენი პროგრამა, ჩვენი მისწრაფება. რა გავაკეთეთ, რა ვერ გავაკეთეთ, რაში შევცდით, რა დანაშაულობა ჩავიდინეთ,—განიხილეთ, გაგვასამართლეთ და დაგვდევით სამართლიანი მსჯავრი“. კრებასაც უნდა გაესამართლებია გამგეობის წევრები, გაესამართლებია ისე, რომ არ დარჩენილიყო არც ერთი მხარე მათის მოქმედებისა განუხილველი და დაფარული, ყველაფერი საჯაროდ უნდა გამოფენილიყო, გადაშლილიყო ყველას წინ ნათლად.

ამას მოითხოვდა როგორც საზოგადო საქმის ინტერესი, ისე ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა გამგეობის წევრთა წინაშე. ყველაზე უწინარეს რა დანიშნულება აქვს საზოგადო კრებას? ჩვენში ზოგიერთებს ისე ესმით საზოგადო კრების დანიშნულება, რომ ვითომც იგი უნდა ჩაერიოს გამგეობის ყოველ მოქმედებაში წამ და უწუმ, შეჰბოჭოს და არ მისცეს მას ხელის განძრევის უფლება, ურომლისოდ შეუძლებელია რამე საქმის გაკეთება. ზოგიერთების აზრით კი, გამგეობა სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა. ჩვენ, როგორც წინადაც გვითქვამს, არა ვართ მომხრე არც ერთის ამ შეუფერებელის აზრისა. ჩვენ ვამბობთ, რომ საზოგადო კრების უფლებაა უმთავრესი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა, ხოლო ეს ზედამხედველობა-ხელმძღვანელობა უნდა გამოიხატოს გამგეობისაგან ანგარიშის მოთხოვნაში, გამგეობის მოქმედების განხილვა-დაფასებაში და კონტროლში. საზოგადოების საგანი უმთავრესად გამგეობის ნამოქმედარის განხილვაა და ამ ნამოქმედარის საფუძვლიანის განხილვით საზოგადო კრება უჩვენებს გამგეობას არა-პირდაპირ გზას მომავ მოქმედებისათვის, თუმცა, რასაკვირველია, კრ ბას შეუძლია პირდაპირ მის მიერ შედგენი საზოგადო სამოქმედო პროგრამაც გადასცეს გა გეობას სახელმძღვანელოდ.

სამწუხაროდ ჩვენი საზოგადო კრებანი არასოდ არ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. ჩვენებურ ს ზოგადო კრებას ყოველთვის რაღაც შემთხვევ თი ხასიათი აქვს; იგი არ ხელმძღვანელობს არ ვითარის გამორკვეულის პროგრამით, მას არ გ მოურკვევია თავისთვის ნათლად, რა უნდა, სწადია, რა უნდა მოითხოვოს, რათაა უკმაყოფ ლო ან კმაყოფილი. მისი მსჯელობა და კრიტ კა უმთავრესად შემთხვევითი ხასიათისაა. ხშ რად ისეთი უმნიშვნელო საგანი იწვევს გაცხარ ბულს და გაუთავებელს კამათს, რომლისაგ საზოგადო საქმეს არავითარი სარგებლობა არ მოელის; სამაგიეროდ კი დიდის მნიშვნელობ საგნები, რომლებიც თხოულობენ მრავალმხრ განხილვას და აწონ-დაწონვას, რჩება სრულებ უყურადღებოდ. ჩვენებური საზოგადო კრ მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატება კენჭ ჩაგდებაში. ხოლო იშვიათად თუ ვინმე ფიქ იმის შესახებ, რომ იგი ვალდებულია, აუხსნ განუმარტოს არჩეულს ადამიანს, თუ რას დებს მას და რადგანაც, დროგამოშვებით, რომ ჩამოართმევს მას, უნდა უჩვენოს ნამოქ დარის ცუდი და კარგი მხარეები და ამით ხმაროს საზოგადო საქმის წარმატებაში. ბური საზოგადო კრების დიდი უმთავრე წმუნებულია, რომ მათი პირველი და თი მოვალეობა კენჭია, მაგრამ კენჭის პატარა ბავშსაც შეუძლია; კენჭ საზოგადო მეში ჩარევაა, მას სხვა მეტი, მძიმე მოვალ ბა აწევს კისერზე, უნდა დაეხმაროს საზოგა საქმის გაუმჯობესობას და წარმატებას, რაც შეიძლება კენჭის შავს თუ თეთრს ყუთში ჩაგ რებით.

მიუხედავად ამისა, საზოგადო კრების წევ სხვა მოვალეობაც აქვს, მოვალეობა მის მ

ა პორტ-არტურის ყველა ადგილსა ჰხვდე- გენ. ნოგის არმია საკვირველ მამაცო- და სამშობლოს სიყვარულს იჩენსო. („ნ. დ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს დეპეშით ატყობი- ბენ ჩიფუდან: გენ. სტესელმა გადაჰრით შეუთვალა გენ. ნოგის, იარაღს არ დავყრი და არ დაგმორჩილდებიო. იაპონიის კონსუ- ფუში ამბობს, იაპონელები ციხეს მი- ვდნენ და ნავთსადგურში მდგომ გე- ზარბაზნს ესვრიან, ასე რომ რუსის ადრა უსათუოდ ზღვაში უნდი გავიდე- ო. („ნ. დ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყო- ბენ ჩიფუდან: იაპონელების საალყე ზა- ზნები ძლიერ აზიანებენ პორტ-არტურის ლებსა და შენობებსაო. გენ. სტესელის სახლი, რუსის ეკლესია და პოლიციის სად-გომი დანგრეულიაო. („მ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ტოკიოელი კო-რესპონდენტი სწერს: პორტ-არტური მეტად მაგარი, თითქმის მიუვალი ციხეა. ციხის აღ-მოსავლეთ მხარეს 12 ფორტია გამართული. ამათში ერთ ფორტზე მეტად დიდი ზარბა-ზნები აწყვია,—500 გირვანქიან ყუმბარას ისვრიან. ყველა ფორტს ღრმა, წყლით სა-ვსე თხრილი და ეკლიან მავთულის ღობეე-ბი აქვს შემოვლებული. ციხის ჩრდილოეთი ფორტებიც ამნაირადვე გამაგრებული. ყვე-ლაზე მაგარი ფორტი ვეფხვის გორის ჩრდი-ლოეთით მდებარეობს და შუიშინის არე მარეს მაღლიდან დასცქერის. ჩრდილოეთ ფორტებისა და აღმოსავლეთ ფორტების სა-ზღვარზე რკინის გზაა გაყვანილი და ერთი პატარა წყალი ჩადის. ციხის დასავლეთი მარე ოთხ ნაწილად იყოფა. აქაური ფორ-ტები 300—400 ფუტის სიმაღლე გორებზეა გამართული, თითო ფორტზე 35 ზარბაზანი დევს. ზღვის მხარეს მდებარე ფორტებიც სამ ნაწილად იყოფა: აღმოსავლეთი, დასა-ვლეთი და შუა ფორტები. ამას გარდა, ცი-ხის ნაპირასაც ფორტებია აშენებული. პორტ-არტურში სულ მცირედ 400 დიდი ზარბა-ზანი ექნებათ რუსებს. („ბ. ვ.“).

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საფრანგეთი. ამას წინად სენატორმა კლემანსომ ბრინიოლში გამართულ ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა. ორატორი შეეხო სამინისტროს მიერ აღძრულ საკითხს ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორების შესახებ. „კომბის სამინისტროს,—სთქვა კლემანსომ,—ყველა ნამდვილმა რესპუბლიკელმა უნდა დაუჭიროს მხარი. უფრო მეტიც. ჩვენ, თუ საჭირო იქნება, აქტიურადაც უნდა დავეხმაროთ. დღემდე სახელმწიფოსთან კავშირს ეკკლესია სახელმწიფოს საზარალოდ იყენებდა. სახელმწიფო ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდა ეკლესიას. ეს დახმარება საფრანგეთს რამდენსამე მილიონ ფრანკით უფრო ძვირად უჯდებოდა, ვიდრე მუშათა დაზღვევის საქმისა და მოწათ-მოქმედების დახმარების მოწყობა დაუჯდება, თუ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა მთავრობამ. („რ. ვ.“).

— მუშათა გაფიცვა მარსელში, როგორც ეტყობა, მალე გათავდება. მატროსების სინდიკატმა განაცხადა, მივიღებთ პატრონთა პირობებსაო. რაც შეეხება დოკებში მოსამსახურეთ და ქვა-ნახშირის დამტვირთველთ, ამათ თუმცა თანხმობა არ განუცხადებიათ, მაგრამ სათითაოდ მუშაობას-კი იწყებენ თურმე. („რ. ვ.“).

ინგლისი. ამ ორი კვირის წინად ლონდონში მოხდა ლონდონის ლორდ-მერის (ქალაქის მოურავის) არჩევანი რიტზის ადგილას, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. არჩეულ იქნა ჯონ პოუნდი. ახალი ლორდ-მერი 75 წლის კაცია. იგი თავმჯდომარეა ომნიბუსთა ამხანაგობისა (ლონდონში არსებობს) და აქვს ტყავეულობის სავაჭრო. ჯონ პოუნდი კონსერვატიულ დასს ეკუთვნის („რ. ვ.“).

— ლონდონში ეხლა ხან გამოაქვეყნეს სტატისტიკური ცნობები ინდოეთის შესახებ. 1901 წელს ინდოეთში მოხდა საყოველთაო აღწერა და ეხლა გამოქვეყნებულ იქნა შედეგი ამ აღწერისა. ამ წელს ინდოეთში ითვლებოდა 294, 361, 056 მცხოვრები. ინდოეთს უჭირავს 4,576,000 ოთხ-კუთხი ვერსი. მთელი ინდოეთი ინგლისს ემორჩილება, მაგრამ არის ოლქები და სამთავროები, სადაც ადგილობრივი მთავრობა და მმართველობა. პირდაპირ ინგლისს ექვემდებარება მცხოვრებთა 78 პროცენტი. უდიდესი პროვინციაა, რომელიც ინგლისს ექვემდებარება, ბირმაა, ხოლო ყველაზე მეტად დასახლებული-ბენგალია, სადაც $78\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრებია. უდიდესი სამთავრო ინდოეთში ჰაიდერაბადია, სადაც 11 მილიონი სული ცხოვრობს. ყველაზე უფრო გავრცელებული სარწმუნოება ბრამანიზმია, რომელსაც მისდევს 207 მილიონი სული. ამას გარდა ინდოეთში $61\frac{1}{2}$ მილიონი მაჰმადიანია და $9\frac{1}{2}$ მილიონი ბუდისტი. ქრისტიანი სულ სამი მილიონია. ენა და კილო ინდოეთში 147 ია. („რ. ვ.“).

— ორანჟეს კოლონიაში, ქალაქ ბრენდვორდს, ამას წინად მოხდა ბურგერების მიტინგი. მიტინგმა დაადგინა, მოიწვიოს ბურთა საერთო კონგრესი პროტესტის გამოსაცხადებლად ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. („ნოვ.“).

ავსტრო-უნგრეთი. მორავიის სეიმში ხელახლა დაიწყო ობსტრუქცია გალერეიდან. ჩეხებმა შესწყვიტეს კრება და დაუწყეს დაძლვა გერმანელ ორატორს, რომელიც ამ დროს სიტყვას ამბობდა. სეიმი ის იყო შეუდგა ახალ წინადადების განხილვას მორავიაში ჩეხთათვის სკოლების დაარსების შესახებ. ხსენებული ორატორი ამ წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობდა. თავმჯდომარეობდა ჩეხი, ვიცე პრეზიდენტი ზაჩეკი, რომელსაც ეხლა ბრალსა სდებენ, არავითარი საშუალება არ იხმარა გალერეაში მომხდარ უწესოების წინააღმდეგაო. წინადადება უარ-ჰყვეს და ამის შემდეგ მეტად ცხარე კამათი გაიმართა ჩეხებსა და გერმანელებს შორის. რათა შემდეგში გალერეაში უწესოებანი აღარ მოხდეს, გადასწყვიტეს, შეზღუდონ იქ მოსიარულეთა რიცხვი.

— უნგრეთში, ისევე როგორც ავსტრიაში, დიდი ამბებია მოსალოდნელი. ამბობენ, ოპოზიცია დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავრობასაო. ოპოზიცია იმისა თანახმაც-კი იქნება, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა ტისსამ განახორციელოს თავისი წადილი, მიიღოს 400 მილიონი ჯარისთვის და გაიყვანოს ახალი კანონი სამხედრო ბეგრის შესახებ. ერთი რამეა, რის დათმობასაც არა ფიქრობს ოპოზიცია. იგი შეეხება ავსტრ-უნგრეთის სავაჭრო ხელშეკრულებას. ოპოზიცია აცხადებს, ეს ხელშეკრულება ჯერ ავსტრიის პარლამენტმა უნდა განიხილოს და მერე ჩვენ პარლამენტს წარმოუდგინოსო. უამისოდ არ მივიღებთ ხელშეკრულებასო. როგორც ვიცით, ავსტრიის მთავრობას შეუძლიან ხელშეკრულება პარლამენტს არ წარუდგინოს და იმოქმედოს კონსტიტუციის მე-14 პარაგრაფის ძალით. უნგრეთის ოპოზიცია სწორედ ამის წინააღმდეგია. („პ. ვ.“).

ოსმალეთი. ოსმალეთის სომხებმა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტსაც მიჰმართეს დასახმარებლად. სამ სომეხ ეპისკოპოსს რუზველტისთვის მემორანდუმი გაუგზავნია. თხოულობენ, ჩაერიონ სახელმწიფონი ოსმალეთის საქმეებში და იხსნან სომხები იმ განსაცდელისაგან, რომელიც იმათ მოელით. ეპისკოპოსების სიტყვით, ოსმალეთში მალე შეუდგებიან ხელ-ახლა სომხების ჟლეტას. რუზველტს მემორანდუმი შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისთვის გადაუცია. („ნოვ.“).

ავღანისტანი. აზიაში იაპონიასა და ჩინეთს გარდა ავღანისტანიც გულმოდგინედ შეუდგა თურმე შეიარაღებას. ამას წინად დურბარში ავღანის ემირს სიტყვა წარმოუთქვამს. „ღვთის წყალობით,—უთქვამს ემირს,—ავღანისტანი ეხლა არ ჩამორჩება სხვა სახელმწიფოებს. ჩვენს საწყობებში იმდენი თოფი და სხვა იარაღი გვაქვს ახალის სისტემისა, რომ გაჭირების დროს შეგვიძლიან ერთი მილიონი ხალხი შევაიარაღოთ და გავიყვანოთ ბრძოლის ველზე. საკვები იმდენი გვაქვს შენახული, რომ სამ წელიწადს გვეყოფა. უმთავრესი ჩვენი ნაკლი ის არის, რომ ერთობა არა გვაქვს. ხალხი ბევრია ავღანისტანში, მაგრამ სახელმწიფოს კეთილდღეობისა და დაცვისათვის ცოტანი ფიქრობენ“. როგორც „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება, ავღანისტანში გაუუქმებიათ უწინდელი წესი სამხედრო ბეგრისა. უწინ ყველა გვარს რვა კაცზე ერთი კაცი უნდა გაეყვანა. ეხლა ემირი სცდილობს ჯამაგირზე იყოლიოს ჯარი. თითო სალდათს თვეში 10 რუპი მიეცემა. გვარის უფროსი, რომელიც 100 კაცს გაიყვანს ჯარისთვის, მიიღებს კაპიტნის სახელს, ხოლო ვინც 1000 კაცს—პოლკოვნიკისას. ამ ამბავს ავღანისტანში სიხარულით მიჰგებებიან და ეხლა დიდ-ძალ ჯარს უყრიან თურმე თავს. ემირი ძალიან ამაგრებს გერატს. ამას წინად ექვსი დიდი ზარბაზანი გაუგზავნია სპილოებით გერატში. იქავე გაუგზავნია 30 ბატარეა და სამთო ზარბაზნები. ყველა ეს ზარბაზნები ახალ სისტემისაა ინგლისსა და გერმანიაში დამზადებული. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა შეატყობინა აჯიქაბულისა, ქურდამირისა, ევლახისა, განჯისა, ალსტაფისა, გუმბრისა და სამტრედიის სადგურის უფროსებს, რომ ამ სადგურებს ეგზავნებათ ტფილისიდან დროებით მოწყობილი სასანიტარო ვაგონები იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობა ვინმე **გახდა ხოლერით ავად.** ეს ვაგონები უნდა დაიკეტოს და გასაღებები გადაეცეთ რკინის გზის სასანიტარო ექიმებს.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის სასანიტარო კომისიამ** გადასწყვიტა, რომ რკინის გზის სასანიტარო ექიმებმა ბალაჯარსა, აჯიქაბულსა და განჯას უნდა გასინჯონ ხოლმე ბაქოდან ტფილისს მომავალი სახალხო მატარებლები.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსის განკარგულებით, განჯის სადგურზე გაიგზავნა ორი დიდი მესამე კლასის ვაგონი იმ შემთხვევისათვის, თუ ბაქოდან მომავალ მატარებლებს მოხსნიან ვაგონებს, რომლებშიაც **ხოლერიან ავადმყოფნი** იქნე-

---

არჩეულ გამგეობას წინაშე. კრება იწუნებს გამგებას, არ სტოვებს წინანდელ თანამდებობაზე. ეს მისი უფლებაა, მაგრამ ამ უფლებასთან განუშორებელია მოვალეობაც: კრებამ უნდა გადააყენოს გამგეობა მხოლოდ მისი გასამართლების, მის (გამგეობის) საქმეების სრულის და საფუძვლიანის განხილვის შემდეგ. მე—გამგეობა თქვენ—კრების არჩეული გეყავი, თქვენ მენდეთ, საქმე ჩამაბარეთ, ეხლა საქმე ჩამოართვით, უნდობლობას მიცხადებთ. რატომ? თქვენ ფასს, ღირსებას უკარგავთ ჩემს ზნეობრივ პიროვნებას, არ გამაგებინებთ, არ ამიხსნით, რა არის ამის მიზეზი? რას მიწუნებთ, რა დანაშაულობას მწამებთ, რა ბრალსა მდებთ? არ შემატყობინებთ? ეგებ მე შეუცდელი და უდანაშაულო ვარ, ან ეგებ არც შევმცდარვარ, არც დანაშაულობა ჩამიდენია, არავითარი ბრალი არა მაქვს? მკიცხავთ. რისთვის? მსჯით. რისთვის? თქვენი ნდობა წამართვით. რისთვის?

საზოგადო კრებას არავითარი უფლება არა აქვს, პასუხი არ გასცეს გამგეობას ამ კითხვებზე, რაც უნდა დიდი დამნაშავე იყოს უკანასკნელი. დღეს უკიდურეს, უსაშინელეს ავაზაკსაც არავინ დასჯის გაუსამართლებლად, მით უმეტეს შეუძლებელია დასჯა საზოგადო კრების მიერ არჩეულ გამგეობისა. საზოგადო კრება ვალდებულია სრული ანგარიში მოსთხოვოს გამგეობას და მისცეს მას ნება თავის გამართლებისა. საქმე [illegible] კი არ არის, უნდა თუ არა თვითონ გამგეობას დარჩეს ისევ თავის ადგილზე. საქმე საზოგადო კრების ზნეობრივი მოვალეობაა, რომელსაც არა აქვს ნება გამგეობის დაწუნებისა მის გაუსამართლებლად. აქ საქმე გამგეობის წევრი პეტრე თუ ივანე კი არ არის. საქმე ის არის, რომ კრებამ არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა, თუ ახსოვს თავი უფლება.

ამ მხრივ მეტად სამწუხარო იყო დრამატიული საზოგადოების წევრთა წარსული კვირის კრება. არავინ არ ცდილობდა, სერიოზულად ჩაკვირვებოდა გამგეობის სამის წლის მოღვაწეობას, გაერჩია საფუძვლიანად, მოეთხოვა ანგარიში გამგეობისაგან, გამოეთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ მოქმედების შესახებ და ამით ეჩვენებია უკეთესი გზა მომავალ გამგეობისათვის. იყო რაღაც ყრუ, გაუგებარი უკმაყოფილება. ზოგს კითხვის ნიშანი ჰქონდა გამოხატული სახეზე, ზოგს გაკვირვების. მაგრამ ვის რა უკვირდა, რა არ მოსწონდა,—არაფერი სჩანდა, რადგან არავინ ლაპარაკობდა. ვინც ლაპარაკობდა, ისეთს შენიშვნებს და კითხვებს არ იძლეოდა, რომ კრებას რამე გაეთვალისწინებინა, ან გამოერკვია. არც ერთი სერიოზული შენიშვნა არავის არ წარმოუთქვამს, არავის არ შემოუტანია არც ერთი საყურადღებო წინადადება, არავინ არ შეხებია სერიოზულ საგანს. რატომ არ სწერია ანგარიშში მთელი სამი წლის დეფიციტიო, ან აქტივში რატომ შეგიტანიათ 6 ნაჭერი მიწა და არა მათი ღირებულებაო? ამგვარის შენიშვნებით კმაყოფილდებოდნენ კრების წევრები. ყველას მარტო ის უნდოდა, რომ საქმე მალე გათავებულიყო, ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, მალე მისულიყვნენ „საქმემდის“, ე. ი. კენჭის ყრამდის. ყველაზე უფრო ეს აინტერესებდათ.

დასცვალეს ყველა ძველი წევრები. მაგრამ რისთვის, კი არ უთხრეს. უკმაყოფილო იყო კრება გამგეობის; მაგრამ რისთვის,—ამის პასუხის ღირსი არავინ გახადეს. ალბად არც იმის პასუხის ღირსად გახდიან ვისმე, თუ რატომ აირჩიეს ახალი წევრები, რითი ხელმძღვანელობენ ახალის არჩევნების დროს, რამე სახელმძღვანელო აზრი, პროგრამა ჰქონდათ სახეში, რომლისაც აირჩიეს ეს პირები და არა სხვები? ვაი, თუ ისე ყრუდ და უპასუხოდ, გაუსამართლებლად განდევნონ ამომრჩევლებმა სამი წლის შემდეგ ახალი გამგეობა, როგორც განდევნეს დღეს ძველი გამგეობის წევრები!..

ერთმა რამ კიდევ განსაკუთრებით გაგვაკვირვა წარსული კრების დროს. ჩვენ საზოგადოდ წინააღმდეგი გეყავით ძველი გამგეობისა და არა ერთხელ გვითქვამს საყვედური მისთვის. მაგრამ ამის გამო არ შეგვიძლია არ დავინახოთ, რაც რამ კარგი გაუკეთებია გამგეობას. გამგეობას ბევრი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი და მთელი ეს საქმე მარტო ორ სამს კაცს დააწვა კისერზე, რადგან რამდენიმე წევრი გამოვიდა გამგეობიდან, ზოგი თავშივე, ზოგი მერე, კანდიდატებიც კი გაიფანტნენ. განსაკუთრებით ბევრი მუშაობა შეჰხვდა გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ქართველიშვილს, რომელიც ისე დაუღალავად, მხნედ, ენერგიულად, თავგამოდებით მუშაობდა სამის წლის განმავლობაში, ხშირად მარტო-მარტოდ დარჩენილი, ყოველგვარ ცუდ პირობებში. რაც უნდა ვუსაყვედუროთ მას, არ შეგვიძლია არავის, არ დავაფასოთ მისი შრომა და სამსახური ქართულ თეატრისათვის. ამიტომ საკვირველი იყო ის უმადურობა, რომელიც გამოიჩინა საზოგადო კრებამ ამ ადამიანის შესახებ. უფრო საკვირველი და სამწუხაროა ზოგიერთი არტისტების საქციელი, რომელნიც წინად „მეგობრობდნენ“ ქართველიშვილს და დღეს-კი დაცინვით იხსენიებენ მას.

* *

ზევით ვსთქვი, რომ ჩვენში ნამდვილი საგნის მაგიერ არსებობს საგნის ნასახი და ლანდი. ეს მართალია როგორც ჩვენი შინაურ, ისე გარეგან ცხოვრების შესახებ. ამ ბოლო დროს მეტად საგულისხმიერო ამბები გვესმის ჩვენებურ ქალაქების თვითმმართველობის ცხოვრებიდან.

ბათუმიდან იწერებიან შემდეგ ამბავს, რომლისათვის არავითარი განმარტება არაა საჭირო. 1903 წ. 10 სექტემბერს ქალაქის ბეითალმა ტურკინმა თავი დაანება სამსახურს და მის ნაცვლად ქალაქის გამგეობამ მოიწვია ბ. მ. ფარცვანიძე. გამგეობამ წარადგინა უკანასკნელი გუბერნატორთან დასამტკიცებლად, მაგრამ გუბერნატორმა არ დაამტკიცა იგი. საქალაქო დებულების 286 მუხ. ძალით, გუბერნატორმა რაკი არ დაამტკიცა ფარცვანიძე, დაუყოვნებლივ უნდა წარედგინა მოხსენება ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის. ქალაქის თავი შეეკითხა გუბერნატორს, რა მიზეზისა გამო არ იქმნა დამტკიცებული ფარცვანიძე, რაზედაც საოლქო საბეითალო ინსპექტორმა აცნობა გუბერნატორის რეზოლიუცია წარწერილი მოურავის ქაღალდზე: „ეცნობოს, ქალაქის თავს, რომ მე საჭიროდ არა ვსთვლი, ჩემი განკარგულებათა ანგარიში მივსცე მას“. ამის შემდეგ გუბერნატორმა დანიშნა ლოპატინი ბათუმის ბეითალის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად. ამაზე გამგეობამ თხოვნით მიჰმართა გუბერნატორს, რომ მისდა დაუკითხავად ბეითლის დანიშვნა უკარგავს ყოველივე ნდობას და მნიშვნელობას ქალაქის თვითმმართველობას, ამიტომ ფორმალურად მაინც შემოიტანოს ლოპატინმა გამგეობაში თხოვნაო. ლოპატინმაც „თანხმობა განაცხადა“, რომ მიიღებს დროებით ბეითლის თანამდებობას. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ლოპატინი ჯამაგირს დებულობდა ქალაქისაგან, ხოლო საჭიროდ არა სთვლიდა აესრულებინა გამგეობის დადგენილებანი, დამორჩილებოდა, როგორც ხელ-ქვეითი, გამგეობას, და საზოგადოდ არ ასრულებდა თავის მოვალეობას, რის გამო გამგეობამ იგი დაითხოვა სამსახურიდან და დაადგინა, გართანიანცი მოეწვია მის ადგილას. მისწერა აგრეთვე ლოპატინს, რომ ყოველივე საქმე გადაეცა და ჩაებარებინა ფელდშერ სულაძისათვის. მაგრამ ლოპატინმა ახლოსაც არ გაიკარა სულაძე და ასე შეუთვალა გამგეობას: ვინ ხარ, რა საქმე გაქვს ჩემთან, რომ შენ დაგემორჩილოო! ვინ დაგაყენა ჩემს უფროსადო?

საქმე ისევ გუბერნატორთან მივიდა, რომელმაც დიდი საყვედური მისწერა გამგეობას, ვინ მოგცათ ნება, ჩემ მიერ დანიშნული კაცი დაათხოვოთო; თანაც ლოპატინი მშვენივრად ასრულებდა თავის სამსახურსაო. მაგრამ ბოლოს მაინც გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ მივიღებ რა ლოპატინის განცხადებას და სხვა გარემოებასაც მხედველობაში, ვანთავისუფლებ ლოპატინს თანამდებობისაგან და ქალაქის ბეითლის სამსახურს დროებით ვავალებ ვართანიანცსაო...

ბათუმის საბჭომ განიხილა მთელი ეს საქმე და დაადგინა, გაასაჩივროს გუბერნატორის მოქმედება სენატში.

სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან. მოხსნილების ნაცვლად ამ ვაგონებს მოაბამენ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა მოსთხოვა რკინის გზათა მთავარ გამგეობას, გადიდოს კიდევ 300,000 მანეთი ნავთის მილის შენობების მოსათავებლად, რადგან წინად გადადებული თანხა არ ეყო.

◆ დღეს, 26 სექტემბრისთვის, დანიშნული კრება **ქართულ წარმოდგენების გამმართველ ამხანაგობისა.** კრება მოხდება დილის 11 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში.

◆ **სად. ლანჩხუთი.** 25 სექტემბერს, ღამის 1 საათსა და 50 წ., ექვსი შეიარაღებული კაცი შევიდა რკინის გზის სატელეგრაფო ოთახში და თავში დასჭრა რევოლვერით მორიგი ტელეგრაფისტი ფედოროვსკი.

◆ ინდოეთის სასოფლო-მეურნეობის დირექტორს განუზრახავს მთელის ქვეყნის ბამბის თესლების ანალიზით გასინჯვა და იმის გამორკვევა, თუ რომელ კუთხეში უკეთესი ბამბა მოდის. აღნიშნულ დირექტორის მოწერილობისამებრ, ბათუმში მყოფმა ინგლისის კონსულმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას საბჭოს და სთხოვა აცნობოს, სად შეიძლება კავკასიის ყველა ჯიშის თესლის შეძენა.

◆ გუშინ, 25 სექტემბერს, ახლად ჩამოსულმა ტფილისის **სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ** ზავადსკიმ დაათვალიერა პალატის სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და მიწების გამმიჯნველი დეპარტამენტი და ოლქის სასამართლოს ყველა განყოფილება. ზავადსკი უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიამ გადასწყვიტა, გამართოს კალიუჩიბალკის მცხოვრებთათვის წყლის ონკანი, ცეცხლის საქრობი წყლის მილი და წყლის სადენი არხი, მტკვრის პირამდე. სასანიტარო კომისიამ ეს გადაწყვეტილება შეატყობინა ქალაქის გამგეობას გუშინ და სთხოვა, რაც შეიძლება მალე, განახორციელოს იგი.

◆ 24 სექტემბერს ქართულ თეატრში მოხდა **ქართულ წარმოდგენების გამმართველ** ამხანაგობის კრება. როგორც ვიცით, ამხანაგობა მოწადინებულია წარმოდგენების დაწყების, მაგრამ ვერ დაუწყია თეატრის უქონლობისა გამო. სახაზინო თეატრში 279 მანეთს თხოულობენ. კრება ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა, რადგან გამოირკვა, რომ, თუ თითო წარმოდგენაზე 279 მანეთი იხადა, ამხანაგობა მთელის სეზონის განმავლობაში 2,000 მან. იზარალებსო. კრებამ ბევრი ითათბირა, თუ სად დაიწყოს წარმოდგენები, მაგრამ ვერა გამოარკვია-რა.

◆ უკვე ვწერდით, რომ **ქალაქის** ყასბები ქალაქის გარედ უხვდებიან საკლავ საქონლის ვაჭრებს, გროშის ფასად ყიდულობენ საკლავს და შემდეგ ერთი-ორად აძვირებენო. 24 სექტემბერს ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, სთხოვოს ტფილისის მაზრის უფროსს და პოლიცმეისტერს, განკარგულება მოახდინონ, რომ ქალაქის განაპირა ადგილებში არავის ნება არ მიეცეს საკლავ საქონლით ვაჭრობისა. საქონლის პატრონებმა საქონელი უნდა მირეკონ ქალაქის ბაკში და იქ გაჰყიდონო.

◆ **სიღნაღის ქალაქის ახალ რწმუნებულთა** არჩევნები დანიშნულია 11 ნოემბრისათვის. საარჩევნო სიები ქალაქის გამგეობამ ეხლავე უნდა გამოაქვეყნოს.

◆ პეტერბურგში, როგორც ზოგიერთი გაზეთები გადმოგვცემენ, გადაუწყვეტიათ, გააძლიერონ და უკედ მოაწყონ კავკასიაში სახაზინო ადგილებზე **რუსის გლეხების დასახლების საქმე.** ამ ჟამად კავკასიაში მოქმედებს რამდენიმე დასი. ეს დასები არჩევენ ადგილებს, ჰგეგმავენ, წყლები გაჰყავთ და ასახლებენ რუსებს. ეხლა გადასწყდა, გააძლიერონ ეს დასები, დაწესონ ახალი თანამდებობანი და გადასდონ მეტი ფული.

◆ ოფიციალურის ცნობებით, 22 სექტემბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა** 11 კაცი, გარდაცვლილა 7 კაცი. განჯაში, როგორც გუშინა ვწერდით, შეჩერებულ იქნა ბაქოდან მომავალ მატარებლის ვაგონი, რომელშიაც ორი ხოლერიანი აღმოჩნდა. როგორც ეხლა განჯის გუბერნატორი იუწყება, ერთი იმ ხოლერიანთაგანი გარდაცვლილა.

◆ **ტფილისის კომენდანტის** თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა კავკასიის მსროლელთა მეორე ბრიგადის უფროსი, გენერალ-მაიორი რილსკი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით, 25 სექტემბრიდან დაწყებული **ბაქოდან მომავალ სახალხო მატარებლებს №№ 5, 3 და 17** აჩერებენ სადგურ ნავთლუხის შემოსასვლელ სემაფორთან და ათვალიერებენ ფერშლები, სადგურის უფროსი და ორი ჟანდარმი.

◆ აბას-აბათის მოედნის გარშემო მცხოვრებლებმა გუშინ საერთო თხოვნა შეიტანეს ტფილისის ქალაქის გამგეობაში. მცხოვრებნი სწერენ, მთელს სოლოლაკში არც ერთი ბაღი არა გვაქვს, სადაც ჩვენს ბავშვებს შეეძლოთ სუფთა ჰაერით სარგებლობაო. ამასთან ამ მოედნის მცხოვრებთ წარუდგინეს გამგეობას გეგმა ბაღისა და ითხოვეს ამ გეგმის თანახმად ქალაქმა აბას-აბათის მოედანზე ბაღი გააკეთოს. მცხოვრებნი აცხადებენ, თუ ქალაქი ჩვენ თხოვნას შეასრულებს, ბაღისათვის ჩვენის ადგილების ნაწილსაც დავუთმობთო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება მეტეხის ციხის სტამბისა, რომელიც აცხადებს, თუ ჩვენ გადმოგვცემთ საბეჭდავ სამუშაოს, სხვა სტამბებზე იაფად გავაკეთებთო. რადგან ასეთი განცხადებები სხვაც არის მიღებული, გამგეობამ დაადგინა, დაავალოს საბჭოს საქმის მწარმოებელს, შეადგინოს საკონდიციო პირობა და ახლო მომავლისათვის დაანიშნოს საჯარო ვაჭრობა.

◆ როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის სოფელ ერთაწმინდაში არსდება სასოფლო სახალხო ერთ-კლასიანი სკოლა. სოფელს უკვე გამოუღია საჭირო ფული სკოლის შენობის ასაგებად.

◆ როგორც ბათუმური გაზეთი გადმოგვცემს, ოზურგეთის მახლობლად ღვაბზუს მცხოვრებს ა. კალანდაძეს რევოლვერით მოუკლავს ამავე სოფლის მცხოვრები იოსებ სარაშვილი.

◆ 23 სექტემბერს, საღამოს 5 საათზედ, ავჭალის ცხენის რკინის გზის ვაგონმა გადაუარა 3 წლის ბავშვს ლიუბა ნიკიტინისას და დააშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ დღეს, 26 სექტემბრისათვის, დანიშნულია კურთხევა ტფილისის მაზრის სოფელ წყნეთის სოფლის ხარჯით ახლად აგებულ სახალხო სკოლის შენობისა. კურთხევაზედ მიწვეულნი არიან სამოსწავლო უწყებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

◆ 24 სექტემბერს, სემენოვის ქუჩაზედ, თავის სახლში ექიმის მეუღლეს ახვერდოვისას აღმოუჩენია, რომ ვიღაც ქურდები სისტემატიურად ჰპარავდნენ სხვა-და სხვა ნივთებს. ამ დღეს, $7^{1}/_{2}$ საათზედ, ქურდებს მოეპარათ ორი ოქროს საგულე ბრილიანტებით მორთული 2500 მან. ღირებულობისა. ეჭვი მიიტანეს მსახურ ქალზე კოჩარინსკაიაზე, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ერთი ნაწილი მოპარულ ნივთებისა.

◆ სადგური ბარგუშეთი. 24 ამთვეს მუშაობის დროს მაღლიდან გადმოვარდა ნავთის მილზე მომუშავე უსენ-აზის-ოღლი და თავი და ტანი დაუშავდა. დაშავებული უჯარმის საავადმყოფოში გაგზავნეს.

დღევანდელ ნომერთან ერთად „ცნობის ფურცლის" ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 256.** შინაარსი: „ცხოვრების ჩარხი", სვ. ყიფიანისა, სხვა და სხვა ამბები; სურათები: „ზღვა ღელავს",—სურათი კინისა, წყნარ ოკეანეს მეორე ესკადრა კრონშტადტში, „ტკბილი ოჯახი", ქანდაკება დაილლონისა, „სასოწარკვეთილება",—სურათი ედელფელდისა და კარიკატურები.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

ხვალ, 27 სექტემბერს, მიაბარებენ მიწას უდროოდ გარდაცვალებულ სტეფანე ზუბალაშვილის გვამს. განსვენებული მკვიდრი ტფილისელი იყო, ტფილისში დაიბადა, აქ სწავლობდა, სცხოვრობდა და აქვე ჩაესვენა საფლავში. დაიბადა განსვენებული 1860 წელს. პირველი სწავლა ოჯახში მიიღო, მერე ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. დაამთავრა გიმნაზია 1880 წელს. ამის შემდეგ ცოტა ხანს ტფილისში იმყოფებოდა, მერე მამამ, კონსტანტინე იაკობის ძემ, ბაქოს წაიყვანა და ნავთის წარმოების საქმეში ჩააყენა. ამ საქმეში ზუბალაშვილმა დიდი გამჭრიახობა, შნო და მხნეობა გამოიჩინა და წარმოება საუკეთესოდ მოაწყო.

ჯერ ისევ სკოლაშივე, მოწაფეთა შორის, განსვენებული საუკეთესო ამხანაგად ირიცხებოდა. სტეფანე დედის გავლენის ქვეშ იზრდებოდა, ხოლო დედა მთელ ტფილისში ცნობილი იყო, როგორც მეტად გულკეთილი და შემბრალე ადამიანი. საზოგადოდ, ზუბალაშვილების გვარს იმ თავითვე ქველმოქმედის სახელი ჰქონდა გავარდნილი და სტეფანე ამ საქმეში არა თუ ჩამორჩა თავისს წინაპრებს, ბევრად გადააჭარბა კიდეც. დახმარების სათხოვნელად მიდიოდნენ მასთან როგორც ქართველნი, ისე სხვა ტომის ხალხნი.

მაგრამ ყველაზე მეტად სტეფანეს დაკარგვა საგრძნობელია ქართველთათვის. განსვენებულს უყვარდა ქართველობა და გულით ნატრობდა ჩვენის ერის წარმატებას. მართო ჩამოთვლაც კი ძნელია ყველა იმ სიკეთისა, რაც განსვენებულმა დასთესა. სხვათა შორის, სტეფანე ზუბალაშვილმა და იმისმა ძმებმა 200 ათასი მანეთი შესწირეს ბათუმში კათოლიკეთა ეკკლესიის ასაგებად. ამდენივე ტფილისის სახალხო თეატრის ასაგებად, რომელიც ამ ჟამად უკვე მზად არის. ამას გარდა განსვენებულმა სათავად-აზნაურო სკოლის შენობისათვის შესწირა 30 ათასი მანეთი, „წერა-კითხვის საზოგადოებას"—10 ათასი მანეთი, ტფილისის სამუსიკო სკოლას—10 ათასი მანეთი, დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ—15 ათასი მანეთი, დრამატიულ საზოგადოებას—1000 მანეთი, ხიზაბავრის ქალთა სკოლას—1000 მანეთი, უსინათლოთა სკოლას—2000 მანეთი, ქუთაისის კათოლიკეთა სკოლას—2,000 მანეთი, გორის კათოლიკეთა სკოლას—2,000 მანეთი და მრავალ სხვას. დიდ შემწეობას უწევდა ტფილისის კათოლიკეთა სკოლასა და ეკკლესიას. ეწეოდა განსვენებული ღარიბ ოჯახებს, მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს, ხელოსნებს. დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე განსვენებული ქართულ მწიგნობრობას. აძლევდა „ჯეჯილი"-ს რედაქციას წელიწადში 200 მანეთს, „მოგზაური"-ს გამომცემელს—500 მანეთს; ეწეოდა წიგნების გამოსაცემად ისტორიკოსს ბ ნ თამარაშვილს, ჭიჭინაძეს, გვარამაძეს და სხვათ. ვიმეორებთ, ძნელია ყველა იმის ჩამოთვლა, რაც განსვენებულმა გააკეთა.

როგორც ადამიანი, განსვენებული კეთილისა და მოსიყვარულე გულის პატრონი იყო.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ადამიანო!

ფ.

პატარა ფელეტონი

ბუნებრივი (იგივე ბუნების წინააღმდეგი) მეთოდი

საკვირველი ამბავი ამოვიკითხე ერთ რუსულ გაზეთში („ბირჟევია ვედომოსტი", № 253): თურმე „საკმაოდ გამორკვეულია და არც არავინ ლაპარაკობს იმის წინააღმდეგ, რომ არა-რუსთათვის დაარსებულ რუსულ სკოლაში მასწავლებლად ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელმაც გარდა რუსულისა, უთუოდ უნდა იცოდეს ადგილობრივ მკვიდრთა ენაც". გაგიგონიათ ასეთი ამბავი ჩვენ „კურთხეულ" საქართველოში? არა მგონია. მაგრამ კიდევ უფრო საარაკო ამბავს მოვიყვან: თურმე „ყველაზე უკეთესი ის არის, თუ ეს მასწავლებელი თვითონ ადგილობრივი მკვიდრია, რუსულ სამოსწავლო სემინარიაში ან სხვა ამ გვარ სკოლაში კურს დამთავრებული. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივ მკვიდრთა შორის არ მოიპოვება საკმაო რიცხვი მასწავლებლებისა, რასაკვირველია, ნამდვილი რუსი უნდა დაინიშნოს სკოლაში, მაგრამ იმ აუცილებელ პირობით, რომ ადგილობრივი ენა იცოდეს".

ეს კი მეტის-მეტია, მკითხველო! მაგრამ ავტორის აზრთა სრულ დასახასიათებლად ჯერ კიდევ განვაგრძობ ამოწერას ამ წერილიდან. „პრაქტიკამ გამოარკვია, რომ რუსული სკოლა მხოლოდ მაშინ მოიტანს ნამდვილს ნაყოფს არა რუსთა შორის, როცა დაცულია ეს აუცილებელი პირობა, როცა მშობლებსა და მოსწავლეთ ერთის მხრივ და მასწავლებელთ—მეორეს მხრივ ერთმანეთის ესმით· პარალელური სწავლება საგნებისა რუსულსა და ადგილობრივ ენაზე პირველ ორის წლის განმავლობაში, და რაც შეიძლება ვრცელი ხმარება სამშობლო ადგილობრივ ენისა სრულიადაც არ შეუშლის ხელს არც სახელმწიფო ენის შეთვისებასა და შესწავლას და არც იმას, რომ მკვიდრმა შეითვისოს საზოგადო რუსული მოქალაქობრივობა".

ჰკითხულობ და უფრო და უფრო გიკვირს ავტორის „ახირებული" პრეტენზიები. როგორ? მასწავლებელმა მოსწავლის ენა უთუოდ უნდა იცოდეს, რომ საგნები ჯერ სამშობლო ენაზე ასწავლოს? მერე ბუნებრივ-მუნჯური მეთოდი და იმისი სასწაულთ-მოქმედება? აქამდე ჩვენ ეგრე გვეგონა, რომ არა-რუსმა მასწავლებელმაც უნდა დაივიწყოს თავისი სამშობლო ენა, თორემ ხომ შესაძლებელია, რომ წმიდა მეთოდი სიმუნჯისა შეილახოს: გამოუცდელი და გაუწვრთნელი მასწავლებელი ვერ მოითმენს და ბავშვისთვის გასაგებ ენაზე დაიწყებს ლაპარაკს, როცა დაინახავს, რომ უნიჭო სკოლელებს ვერა გაუგიათ-რა მუნჯურ მეთოდით სწავლებისა და უაზრო თვალებით პირდაღებულნი შესცქერიან; უაზრო, უსიცოცხლო თვალები და პირდაღებულობა გვეგონა სკოლის წარმატების და ნაყოფიერების ნიშანი, და რუსი ავტორი კი გვეუბნება—მასწავლებელს მოსწავლის ენა უნდა ესმოდესო!

მაშ ამოდენა ხნის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენებურ სკოლისა დასაფასებელი არ არის? ავტორის აზრი შეუწყნარებელი უნდა იყოს, თორემ აბა „ბუნებრივი" მეთოდი რად იქნებოდა გამეფებული ჩვენ სკოლებში ან ქართულის არ მცოდნე მასწავლებლებს რად დანიშნავდნენ ქართულ სოფლებში?

ან იქნება რუსი ავტორი მართალი იყოს, მაგრამ ეს სიმართლე ჩვენთვის, ქართველებისათვის, არ სჭრიდეს? ხომ გაგიგონიათ—„ჩტო რუსკომუ ზდოროვო, ტო ნემცუ სმერთ"! ყველაფერი შესაძლებელია, ისიც კი, რომ ორჯელ ორი ოთხი იყოს თათრისა, სომხისა ან რუსისათვის და ჩვენთვის კი სულ სხვა, მაგალითად—ქონის სანთელი ან დაგლეჯილი ჩექმები.

ისე რომ არ იყოს, ავტორი ჩვენ, ქართველობასაც, მოგვიხსენებდა თავის ლოცვაში. მთელი წერილი ბაქო-დაღესტნის რაიონის თათრების გამო დაწერილი. ბევრი მასწავლებელია თათრებს შორის და რატომ იმათ არ ვნიშნავთ იმ სკოლებში, სადაც თათრის ახალთაობა სწავლობსო, ჰკითხულობს ავტორი. „კავკასიის მაჰმადიანობამ მისცა რუსეთს მთელი წყება ნიჭიერ ადვოკატებისა, ექიმებისა, ინჟენრებისა, პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. არავითარი საბუთი არ არის მაჰმადიანობის ამ ნაწილსაც „en canaille" მოვეპყრათ, როგორც ამას სჩადიან გარუსების მოტრფიალენი, ჰკუას რომ ძაღლს ატანენ".

ქართველი მასწავლებელიც ბევრია... ბაქო-დაღესტანსა, განჯა-ერევანსა და კასპიის იქითა მხარეში. ნიჭიერი ადვოკატები, ექიმები, საზოგადო მოღვაწეებიც გვყავანან, „en canaille"-ადაც გვეპყრობიან, მაგრამ არც სხვა გვქომაგობს და ჩვენც ვმუნჯობთ...მუნჯურ მეთოდის სასახელოდ და სადიდებლად.

W

პრესსა

„რუსკ. ვედ."-ი ეხება მოწინავე წერილში იმ საგანს, თუ რა შედეგი მოჰყვა საგუბერნიო საბჭოების მუშაობას საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯავად, და შემდეგს ამბობს:

> საბჭოთა დადგენილებათ რაღაც გაუბედაობა და აზრის სივიწროვე ემჩნევა. თითქო საბჭოთ შეძლება ან სურვილი არ ჰქონიათ, გლეხთა საკითხი ცხოვრების საზოგადო საკითხებთან ერთად განეხილათ, მათ შორის კავშირი მოეძებნათ. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ერობის წარმომადგენელთ სულ უმნიშვნელო ადგილი ხვდათ საგუბერნიო საბჭოში, რომელნიც უმრავლესად ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან იყვნენ შემდგარნი. პრესსას შეძლება არ მიეცა თავისი აზრი გამოეთქვა განსახილველ საკითხთა შესახებ, საზოგადოება მოშორებულ იყო იმ საგნის განხილვას, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს, და აიტომ საბჭოთა მოქმედებას უფერულობის, კანცელიარულ საქმის წარმოების დაღი აძევს. საბჭოთა მიერ გამოთქმულ აზრებში არ გამოიხატა საზოგადოებრივი აზრი და მისწრაფება, რომელნიც ნათლად გამოსთქვა საზოგადოებამ სოფლის საჭიროებათა გამომრკვევ კომიტეტებში. ამ კომიტეტებმა საგლეხო საკითხი დაუკავშირეს რუსეთის ცხოვრების საზოგადო საკითხებს, საჭიროდ სცნეს გლეხთა განთავისუფლება ყველა იმ დაბრკოლებათაგან, რომლებითაც ისინი ყოველ მხრით არიან შეზღუდულნი. კომიტეტებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ გადასახადთა ტვირთი, რომელიც ამ ჟამად თითქმის სავსებით გლეხებს აწევს, ყველა წოდებებზე სამართლიანად განაწილდეს; გაანთავისუფლონ გლეხები განსაკუთრებულ ადმინისტრატიულ ზედამხედველობისაგან და საერობო უფროსებისაგან, რომლებმაც შეზღუდეს გლეხთა უფლებანი ადგილის გამოცვლის და ხელოსნობის არჩევის სფერაში. გაუქმებულ იქნას წოდებრივი საგლეხო გამგეობა და განსაკუთრებული დაწესებულებანი საგლეხო საქმეთა შესახებ და მიენიჭოს გლეხებს სხვა წოდებებთან თანასწორი უფლებანი, გლეხები რუსეთის საზოგადო სამოქა-

ლაქო და სისხლის სამართლის კანონებს დაუმორჩილონ. ერთი სიტყვით, უნდა გაუქმებულ იქნას ბიუროკრატიული მზრუნველობა, რათა ლეხთ თავისუფალ თვით-მოქმედების შეძლება მიეცეთ.

გარდა ამისა კომიტეტებმა ის საკითხი გამოარკვიეს, რომ სხვა წოდებათაც უნდა მიეცეთ უფლებანი, ურომლისოდ შეუძლებელია საზოგადოებისა და პიროვნების ზრდა-განვითარება: უფლება პირადი ხელ-შეუხებლობისა, თავისუფლება ვითი სიტყვისა, სარწმუნოებისა და სამშო[illegible] ენის, ერობის განთავისუფლება ადმინისტრატიულ შეზღუდვისაგან და ერობის მონაწილეობა სხვა-და-და-სხვა სახელმწიფო კანონ-პროექტების განხილვაში.

* * *

რუსეთის გაზეთები განაგრძობენ მსჯელობას შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვის შესახებ. „პეტერბ. ვედ." ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც ფრთა შეაკვეცეს რუსეთის საზოგადოებრივ წარმატებას, და შემდეგ აზრებს გვიზიარებს:

საზოგადოების მიმართ უნდობლობა თან-და-თან სულ უფრო და უფრო აბრკოლებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და შეაჩერა ჩვენი წინსვლა. ერობათა ხარჯთ-აღრიცხვის შეზღუდვა, მრავალ მნიშვნელობიან დადგენილებათა გაუქმება, ამომრჩეველთა რიცხვის შევიწროება,—აი ის სამწუხარო მოვლენანი, რომელთაც უფერულობის დაღი დაასვეს ჩვენს თვით-მოქმედებას და იძულებულ ჰყვეს ბევრი ენერგიული, გონიერი საერობო მოღვაწე საქმისათვის თავი დაენებებიათ. ჩინებულად და ვრცლად დაწყებული საქმე გაიხრწნა. მკვდრული ფერი დაედო. საქალაქო თვითმმართველობებში საზოგადოების ყველა ცოცხალი ელემენტი მოაშორეს საქმეს და ვაჭრები გააბატონეს. პრესსა სულ უფრო და უფრო შეავიწროვეს. ყველაზე უფრო ეს სამწუხარო მოვლენა პროვინციალურ პრესსას დაეტყო, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ახალ გაზეთების გამოცემა დაბრკოლდა, რადგან ნება-რთვის მიღება მეტად გასაჭირი გახდა, გასაჭირი გახდა თვითეულ ფეხის გადადგმა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, წიგნთ-საცავების, სხვა-და-სხვა ამხანაგობათა და საზოგადოებათა დაარსება, სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების გამართვა, სალიტერატურო და საურთიერთო დახმარების წრეების შედგენას რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა, რომ ადამიანმა სავსებით წარმოიდგინოს, თუ რა ნაყოფი უნდა გამოეღო ყოველ მხრივ შეზღუდულ საზოგადოებრივ თვითმოქმედებას. ამას ყველა ნათლად ჰხედავს, ყველა ხედავს ყველგან გავრცელებულ ლოთობას, ბანქოს თამაშს, სიბრიყვეს; ადამიანი გამხეცდა და გაველურდა.

სასამართლო

ქურდობა მატარებელში

1903 წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ სანაინში ჟანდარმს შეუნიშნავს, რომ ტფილისიდან მავალ საქონლის მატარებლიდან ჩამოხტარა ვიღაც კაცი, როგორც შემდეგ გამოურკვევიათ, ებრაელი იუდა ოჭარაშვილი. თან ოჭარაშვილს ჰქონია დიდი ფუთა, ნივთებით გატენილი. ცოტა ხანს შემდეგ ჟანდარმს შეუნიშნავს, რომ იმავე ებრაელს ნივთები შეუტანია ერევნიდან ტფილისში მიმავალ სახალხო მატარებელში და თითონაც წამოსულა. ჟანდარმი ებრაელის ეს საქციელი რაღაც საეჭვოდ უცვნია და გამოსდევნებია. კარგა ხანს შემდეგ გაუჩხრეკია და აღმოჩენილა, რომ ოჭრაშვილს სადღაც ვაგონში სამანაფაქტურო საქონლის 11 ნაჭერი მოეპარა. ამას გარდა ებრაელის უბის წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდა გვარები საქონლის მატარებლის უფროს კონდუქტორის ისიდორე ასათიანისა და უმცროს კონდუქტორების ტარანოვისა, პლატონოვისა და თედეევისა. ჟანდარმს აღმოუჩენია აგრეთვე ებრაელის მიერ დაქირავებული კაცი, გოგინოვი, რომელსაც მიბარებული ჰქონია მოპარული საქონელი. სულ ებრაელს აღმოსჩენია 46 ნაჭერი შალი და ჩითი. ეს საქონელი გაგზავნილი ყოფილა ტფილისიდან ერევანში. მერე აუღიათ, რომ ამ ქურდობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ზემოდ აღნიშნულ კონდუქტორებს. გამოკითხვის დროს არც ერთს თავი დამნაშავედ არ უცვნია, ერთის კონდუქტორის რეშეტნიკოვის გარდა, რომელსაც გამომძიებლისათვის უთქვამს, რომ მე ებრაელმა ოჭარაშვილმა შემაცდინაო. ოჭარაშვილი ვაგონში შეპარულა და რეშეტნიკოვის დახმარებით დიდ ძალი ფართალი გამოულაგებია, ფუთებად შეუკრავს და ხურჯინებში ჩაუწყვია. რეშეტნიკოვს უთქვამს, ამ ქურდობაში უფროსი კონდუქტორი ასათიანიც იღებდა მონაწილეობასაო. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიუციათ ისიდორე ასათიანი, ტროფიმე რეშეტნიკოვი, გოგინოვი და მიხეილ და იუდა ოჭარაშვილები. ამას წინად ეს საქმე გაურჩევია ტფილისის ოლქის სასამართლოს, გოგინოვს გარდა, ყველას დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: ასათიანისათვის—11/2, წლით, ხოლო დანარჩენთათვის—2 წლით. ასათიან საქმე გადაუტანია პალატაში, სადაც მას იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი. პალატამ, თანახმად ვექილის გრუზენბერგის თხოვნისა, ასათიანი უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გააუქმა სასამართლოს განაჩენი.

რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. კალუგიდან სწერენ რუსეთის გაზეთებს, რომ გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა რკინის გზის ადგილობრივი კლუბი. კლუბის დახურვა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: 5 სექტემბერს ამ კლუბში გაიმართა სამუსიკო საღამო ფასიან ბილეთებით. საღამოს გამმართველმა ქალმა, სხვათა შორის, მოიწვია დატყვევებული იაპონელები, 6 კაცი, რომელნიც კალუგაში ცხოვრობენ ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ. კონცერტის დასრულების შემდეგ მხოლოდ ისინი უნდა დარჩენილიყვნენ კლუბში, რომლებიც კლუბის წევრებად ითვლებიან, და წევრების რეკომენდაციით მოსული სტუმრები საღამოს გამმართველმა ქალმა და ერთმა დამსწრე აფიცერმა მიჰმართეს კლუბის ერთ გამგეთაგანს თხოვნით, მიეცა იაპონელებისათვის ნება კლუბში დარჩენილიყვნენ. გამგემ უპასუხა, ნებას მივცემ, პასუხის გებას თუ იკისრებთო. მთხოვნელებმა პასუხის გება არ იკისრეს ამის შემდეგ გამგემ შეამჩნია, რომ იაპონელები წასვლას არ აპირებენ, კლუბის დარბაზში დასეირნობენ და თავის ნაცნობებთან დროს ატარებენ. მეორე დღეს ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედვა და უსიამოვნობა გამოიწვია მცხოვრებთა შორის: კლუბის გამგეობასა და რკინის გზის მოხელეთ ჰკიცხავდნენ იმის გამო, რომ იმათ იაპონელები არ გაისტუმრეს კლუბიდან. გუბერნატორს აცნობეს ეს ამბავი. გუბერნატორმა კლუბის წევრობაზე ხელი აიღო და განკარგულება გასცა, კლუბი სამუდამოდ დაეხურათ.

◆ „ბირჟ. ვედ."-ს სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ირჩევა საკითხი იმის შესახებ, რომ საგუბერნიო საერობო დაწესებულებებში დაარსებულ იქნას მთავრობის მიერ ერობის საკონტროლო კომისიები, რომელნიც ერობამ თავის ხარჯით უნდა შეინახოს.

„პრიდნ. კრაი" იუწყება, რომ 4 და 5 სექტემბერს ქ. ეკატერინოსლავის ქუჩებზე დააპატიმრეს 14 კაცი, რომელნიც აქეზებდნენ ხალხს ებრაელებზე თავდასასხმელად. გუბერნიის უფროსმა ყველა დაპატიმრებულთ ადმინისტრატიულის წესით სასჯელი გადაუწყვიტა: ციხეში დამწყვდევა 2 თვიდან 2 კვირამდე.

◆ არსებულ წესით აქამდის ქალებს არ ღებულობდნენ ხელოსანთა ამქრებში წევრებად. ბოლო დროს ერთმა ვარშაველმა ქალმა საჩივარი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში, წიგნების მკაზმავთა ამქარში არ მიმიღესო. სამინისტროს განკარგულებით ეს ქალი მიღებულ იქნა ამ ამქარში.

◆ გზათა სამინისტრომ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ბოროტ-მოქმედება მოხდა რუსეთის რკინის გზებზე 1900-დან 1902 წლამდე. საერთო რიცხვი ამ ბოროტ-მოქმედებათა—1,181-ია. ამ რიცხვში ქურდობა—515, ბოროტის განზრახვით გზის წახდენა—400, დანარჩენი შემთხვევანი შეეხება მატარებლებზე იარაღით თავდასხმასა და გაძარცვას. ყველაზე მეტი ბოროტ-მოქმედება ციმბირისა (190) და ამიერ-კავკასიის (159) რკინის გზებზე მომხდარა.

◆ ერთ ბერლინელ გაზეთის კორესპონდენტს საუბარი ჰქონია შინაგან საქმეთა მინისტრთან, თავ. სვიატოპოლკ-მირსკისთან, და თავადს სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს კორესპონდენტისათვის რუსეთის შინაგან პოლიტიკის შესახებ: „განა შეიძლება ახლა სხვა-და-სხვა აზრისა ვიყოთ რუსეთში მცხოვრებ ხალხთა შესახებ, იმ დროს, როდესაც ყველანი ერთნაირად თავ-გამოდებით იბრძვიან შორეულ-აღმოსავლეთში: ისინი ყველანი რუსები არიან." კორესპონდენტი შეეხო პრესსის მდგომარეობას რუსეთში და ამის შესახებ მინისტრმა შემდეგი სთქვა: „ჯერ-ჯერობით ლაპარაკი არ შეიძლება პრესსის სრულ თავისუფლებაზე, მაგრამ ვგრძნობთ კი, რომ პრესსა მეტ თავისუფლებას, განახლებას საჭიროებს. და ამ მხრივ უკვე ბევრი რამ იქმნა გაკეთებულიო".

◆ მოსკოვიდან შუამდგომლობით მიუმართნიათ საერო განათლების სამინისტროსათვის მოსკოვის უმაღლეს საქალებო კურსებთან სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების შესახებ.

◆ ფინლიანდიაში პროექტები შეუდგენიათ ახალ რკინის გზების აშენების შესახებ, რომელთაც 18 მილიონი მარკა დასჭირდება.

წერილები

—

ახალციხე. „ცნ. ფ."-მა მეტად სამწუხარო ამბავი გაგვიზიარა. გვაუწყა ქართველთა ქველმოქმედის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის უდროვოდ გარდაცვალება, რამაც ერთიან გული დაგვწყვიტა ახალციხის ქართველებს. ნათქვამია, ყველა ბედითაო. ნიშნათ ახალციხელთა მგლოვიარობისა მამა ივ. გვარამაძემ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში გადაიხადა კვირას. 19 ენკენისთვეს, წირვა და ნაწირვებს პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. ხალხი მრავალი დაესწრო; მწირველმა მოკლედ აუხსნა ახლად გარდაცვალებულის მოღვაწეობა დამსწრეთ.

მესხი კ. გვარამაძე.

—

სოფ. ბანძა (სამეგრელო). სარჩო ჩვენც შემოგვაკლდა. ეხლა სიმინდის უქონლობის გამო ხალხი პურს ეტანება. ამის გამო მეპურეებმა პურის ფასს მოუმატეს. რო ჰკითხოთ, მეპურეები პურის ფასის მომატებას ომის მიზეზით ჰხსნიან. შესაძლოა, მართლაც იყოს, მაგრამ ვაჭარს ხშირად მოსდის, რომ ყოველ მიზეზს თავის სასარგებლოდ იყენებს. მგონი, ეხლაც ასე უნდა იყოს. ამ სამ უკანასკნელ წელიწადს ჩვენში ხეირიანი მოსავალი არა ყოფილა, რის მიზეზითაც მცხოვრებნი თითქმის დამშეულნი არიან. ამ ჟამად მაინც ნამდვილი შიმშილობაა: ოც კომლში ერთი თუ იკვებება თავის ჭირნახულით, თორემ სხვები ყველანი ყიდულობენ. სიმინდის ფასმა ერთი ორად აიწია: ფუთი სიმინდი პეპლიანი (სიმინდის პეპლის გაჩენის გამო ზოგი ამბობს, ექვს აბაზად არის ფუთი. ფული რომ იშოვოს გლეხმა, საყიდლად სიმინდს ველარ შოულობს. 15 ივლისის შემდეგ ამინდი მარტივით იცვლება: თითქმის ყოველ დღე ერთ საათს წვიმს, მეორე საათს ცხელა. ამისთანა ცვლილებამ ჭირნახულზე ცუდად იმოქმედა. მეოთხე წელიწადია, რაც აქ სოფელში გიორგი გაბუნიამ დაიწყო ამერიკულ ვაზით ვენახის გაშენება და წამლობა ვენახისა. აქაური მცხოვრებნი ეჭვის თვალით უცქეროდნენ ამ საშუალებას. ეხლა კარგად დააკვირდნენ და თითქმის ნახევარზე მეტმა დაიწყო გაშენება. დანარჩენნიც იმას გაიძახიან, კვლავისთვის ურიის ვალში ჩავდგებით და მაინც გავაშენებთო.

ბანძელი ნოე.

—

სოფ. შროშა (ზემო იმერეთი). წელს სოფ. შროშაში მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ამათ ავლა-დიდებას შეადგენს ღვინო, ამით აღებულ ფულით ყიდულობენ სიმინდს, ტანისამოსს და სხვა ოჯახში საჭირო ნივთებს. წრეულს ვენახს შარშანდელებ არა აპია რა და მერე კიდევ ღვინის ფასიც თან-და-თან კლებულობს. სიმინდი შარშანდელზე უკეთესია აქეთ. მერე რა? აქაურმა გლეხმა რაც უნდა კარგად დაიმუშაოს ყანები, წლის სარჩო მაინც არ მოსდის, რადგან ბევრგან ზედა პირი მიწისა მთლად თიხაა და ძლიერ ძუნწობს. რადგან შროშა თიხითაა მდიდარი, ნაწილი მცხოვრებთა მეჭურჭლეობას მისდევს. აკეთებენ თიხისას: ქოთნებს, დოქებს, კოკებს, ჭურებს და სხ., მიაქვთ ქართლ-კახეთსა, გურიასა, სამეგრელოსა და სხ. ახლო კუთხეში, სცვლიან ჭურჭლეულს ჭირნახულზე და მოაქვთ თავისთვის სარჩო. სიმინდი წრეულს ძრიელ გაუძვირდათ. ბათმანი (27 გირვ.) ოთხ აბაზზე მეტად ფასობდა ზაფხულში, ეხლა კი სამ აბაზამდე დავიდა, მაგრამ მალე უფრო გაძვირდება. შარშან აქ ქურდობას ძნელად გაიგონებდით და წელს კი ბრბოა აქ ქურდ-ბაცაცების. ზოგნი აქ აშკარათ, ყაჩაღებივით მიუვარდებიან ხოლმე და რაც ხელში მოჰხვდებათ, ყველაფერი მიაქვთ; მეორე დღეს-კი ამბობენ, ეს გურულები იქნებოდნენო. ერთი ამისთანა „გურული" დაიჭირეს. აღმოჩნდა გურული კი არა, მეზობელი, შროშაში მცხოვრები. „დამწვარზე მდუღარე დაასხესო", სწორედ ასე მოუვიდათ აქაურებს ამ და ბოლოს: გაჩნდა სოფელში ხურება და მუცელა. ამ უკანასკნელმა ორი ქალი იმსხვერპლა ჯერ-ჯერობით.

ევ. ებანოიძე

—

სოფ. ფარცხანაყანევი (იმერეთი). ს. ფარცხანაყანევში შვიდს სექტემბერს, ღამე დაიწყო ძლიერი ელვა და ქუხილი. გლეხს კუჭუხიძეს იმ ღამეს დაუტოვებია საბალახოზე ორი უღელი კამეჩი. ამ ძლიერი ქუხილის დროს დასცემია მეხი და მოუკლავს ერთი უღელი კამეჩი და მეორე უღელსაც მორჩენა უპირს. გლეხის ცაბაძის ეზოში დასცემია მეხი კიდევ ორ ძირ ნიგვზის ხეს და სულ მთლად დაუმტვრევია. ქურდებმა ჩვენშიაც იჩინეს თავი. პირველს სექტემბერს ღამე გლეხს კოხრეიძეს მოჰპარეს ერთი უღელი ხარი. ქურდებს თურმე ეს ხარები მიჰყავდათ ქუთაისში ყასბებთან გასასყიდად. ამ დროს გზაზედ დაჰხვედრიან სოფლის დარაჯები და ქურდებისათვის მოწმობა მოუთხოვნიათ. რადგან მოწმობა აღარ აღმოაჩნდათ, დაუჭერიათ ეს ქურდები და თოკით მხრებ წაკრულნი საქონლიანად მიუყვანიათ სოფლის კანცელარიაში. ქურდები ამავე სოფლის მცხოვრებნი არიან.

პ. ეკატერინაშვილი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 სექტემბერი

ლონდონი, 25 სექტემბერი („რეიტ. სააგ.") კორესპონდენტის შეკითხვაზე ლანსდუნმა განაცხადა: „რადგან არც რუსეთმა და არც იაპონიამ არ ისურვა ინგლისის მთავრობის შუამდგომლობა, უკანასკნელი იმ აზრს დაადგა, რომ ამ ჟამათ უნაყოფოა ყოველივე ცდა იმისთვის, რომ ორივე მებრძოლმა მხარემ ომი შესწყვიტოს.

ტიანძინი, 24 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებით, თუმცა იაპონელების ყველა იერიში უკუაქციეს რუსებმა და 7 სექტემბერს დიდი ზარალი მიაყენეს, იაპონელები მაინც ახალ იერიშის მიტანას აპირებენ. რუსების წყლის მილი იაპონელებს არ ჩაუგდიათ ხელში, მხოლოდ ამ მილის ერთ ნაწილს ხვდება იაპონელთა ყუმბარები. სურსათი დიდის გაჭირვებით მიაქვთ იაპონელებს. ზარბაზნებს იმ სიმაღლეებზე დგამენ, რომელნიც სადგურს დაჰყურებენ. მაშველი ჯარი განუწყვეტლივ მოდის. ალყას იაპონელები სასტიკად იცავენ.

ნაგასაკი, 24 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). ერთი იაპონელი აფიცერი, რომელმაც პორტ-არტურთან სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო და ეხლა დაბრუნდა იაპონიაში, ამბობს: „იაპონელებს ვერაფერი ვერ აჩერებს და თან და თან უახლოვდებიან ციხეს. ალყა უფრო მჭიდროთაა შემორტყმული. სურსათი ილევა. საჭმელად ცხენებსა ჰკლავენ.

შანჰაი, 24 სექტემბერი („რეიტ. სააგ.). იაპონელებმა გადასდვეს სახალინის წინააღმდეგ განზრახული ექსპედიცია, რადგან იგი დაგვიანებულია. შიდა ჩინეთში დიდი მღელვარება იწყება, მოხელეები ყველგან იარაღსა და სამხედრო მასალას აგროვებენ. მომავალისათვის შიშობენ.

ჩიფუ, 24 სექტემბერი („რეიტ. სააგ.") გავლენიან წრეებიდან იუწყებიან, ტოკიოდან დეპეშა მოსულა რომ ხოკაი[illegible] მცხოვრებთაგან შემდგარი მე-7 დივიზია სახალინზე თავს დასასხმელადაა მოამზადებულიო. პორტ-არტურიდან ცნობები არ მოსულა. ზღვა ისევ ღელავს. მიმოსვლა შეუძლებელია.

ვაშინგტონი, 24 სექტემბერი („რეიტ. სააგ.") დიპლომატიურმა და საფინანსო წრეებმა შეიტყეს, რომ ახალი წლის შემდეგ იაპონია ეცდება მოლაპარაკება გამართოს და ამერიკისაგან დიდი სესხი აიღოს.

პეტერბურგი. 25 სექტემბერს გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: შინაგანს საქმეთა მინისტრის ამხანაგს, ჟანდარმთა განსაკუთრებულ კორპუსის უფროსს, მიენიჭა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობა, პოლიციის გამგეობა, შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით საქმეების გამგეობა ბოროტ-მოქმედებათა მოსასპობად და ასაცდენად და აგრეთვე საზოგადო წესების უზრუნველ საყოფელად.—ხელმწიფე იმპერატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით, უმაღლესად უბრძანა, გაანთავისუფლონ მიმდინარე წელს სამხედრო ბეგრისაგან და მკურნალთა გასინჯვისაგან იაპონიასთან ომის დასრულებამდის ის სანიტარები, რომელნიც ომში გაგზავნილ წითელ ჯვრის რაზმებში არიან; გაანთავისუფლონ აგრეთვე სამხედრო ბეგრისაგან რკინის გზის ყველა მოხელეები როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპის რუსეთიდან გაგზავნილნი, სახელდობრ: ციმბირისა, იმიერ ბაიკალისა, ბაიკალის ირგვლივ, ჩინეთისა და აღმოსავლეთ უსურიის რკინის გზებისა; ევროპის რუსეთიდან გაგზავნილ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები და სოკოლოვსკის სახელობის კერძო სკოლის მოწაფეები (ეს სკოლა ოდესაშია), რომელნიც ამ ჟამად შორეულ აღმოსავლეთის რკინის გზის ბატალიონში არიან.

კამიშლოვი. კრებამ საჭიროდ სცნო მიიღოს ზომები შინა მრეწველობის დასახმარებლად.

მინსკი. ადგილობრივ მიწათ-მოქმედების გამგეობის თაოსნობით გამართა სახალხო კითხვები გლეხთათვის მერძევეობის, საქონლის და ცხენების მოშენების შესახებ.

ბერლინი. 24 სექტემბერი „ნორდ-დაიჩე ცაიტუნგ"-ში დაბეჭდილია: გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები იმის შესახებ, რომ იმპერატორს განზრახვა აქვს ზამთარი სამხრეთში გაატაროს. როგორც შევიტყეთ, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. ტყუილია აგრეთვე ისიც, თითქო იმპერატორის ჯანმრთელობისათვის საჭირო იყოს სამხრეთში ცხოვრება. თუ იმპერატორი მართლა მოისურვებდა ხმელთა შუა ზღვაში ახლად მოგზაურობას, ეს მხოლოდ გაზაფხულზე იქნებოდა შესაძლებელი.

24 სექტემბერი

ტულა, 24 სექტემბერი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, შემდეგი დეპეშა გაუგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრს: „საბჭომ შეიტყო, რომ თქვენ ხელ-ახლად მოუწოდეთ ნდობა საზოგადო დაწესებულებათ და დიდის სიამოვნებით მიეგება ამ ამბავს, მადლობას უძღვნის თქვენს ბრწყინვალებას და გისურვებთ საზოგადოების მიმართ ნდობაზე დამყარებულ მოღვაწეობაში წარმატებას რუსეთის საკეთილდღეოდ“.

პარიზი, 24 სექტემბერი. დელკასემ და ესპანიის ელჩმა დეკლარაციაზე ხელი მოაწერეს. საფრანგეთისა და ესპანიის მთავრობანი შეთანხმდნენ, განსაზღვრეს და გამოარკვიეს თვისი უფლებანი და ინტერესები: საფრანგეთმა—ალჟირში, ესპანიამ კი—მაროკოს სანაპიროზე. ესპანიის მთავრობა დაეთანხმა საფრანგეთ-ინგლისის დეკლარაციაში მოთავსებულ განცხადებას მაროკოს შესახებ. ორივე მთავრობა მაროკოს ხელ-შეუხებლობის პრინციპის მომხრეა. ხელ-შეკრულობის შინაარსს არ ამხელენ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 სექტემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	89 „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	392
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	307¾
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	260¼ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . . .	87½
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	82⅛
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	87
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	233 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—3)

ტფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება ახალი წიგნი

„НАРОДНАЯ МЕДИЦИНА“

въ Закавказскомъ краѣ

ა. იაშვილისა. ფასი 70 კაპეიკი. (5—311—3)

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს.-ძე რიჟინაშვილი

პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. (30—3512—23)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფიავისა, **№ 92**, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—54)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში მიიღებენ შესაკერად კაბებს ძრიელ იაფ ფასად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს. იქვე სახელოსნოს მეორე განყოფილებაში მიიღებენ შესაკერად **თეთრეულს, მეტკებს** და ყოველ გვარ ნაქარგს აბრეშუმის ფერადის ძაფებით.

ჭრა-კერვის კურსებზედ არის კიდევ რამდენიმე ვაკანსია. 3—2.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს



რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას **„С.-Петербургъ“** წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა, ტაშკენტში. და ტფილისს

(60—43)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის პროგრამმა:

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარრიკატურები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მ თხზველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

გამომცემელი ჟურნალისა **ქნ. ნინო ე. ძოგულაშვილი.** რედაქტორები { **ქნ. ელ. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილი.**

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პაპავისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურია

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზ-ბ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(შ. 0—6) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала **„НАКАДУЛИ“**.

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამტკიცებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის** ოლქის **მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—47)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების **ტელეფონი № 679.** (0—167)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/20 ვედრისა), ჭურჭლის ზე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დამწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ბოთლებში ჩასხმული. (50—35—50)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა**. ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—37). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1904 წლის 10 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა სალორიის აგარაკი სასახლკაროდ და სახნავად. ვაჭრობა ადგილობრივ მოხდება. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას მოისურვებს, იმან ზედ უნდა წარადგინოს 10 მანეთი. პირობებისა და გეგმის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე ქალაქის გამგეობაში. (5—5.—2)



ევალდ იანკოვს

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის. ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—25) **ტელეფონი № 281.**

Дозв. цензурою 25 сентября 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. „ქართვ. ამხ—სა“ Электр. от. „Груз. Изд. Т—ва“.